წლიწადი პირველი. № 6. ფასი 10 კაპ. კვირა, 19 აპრილი 1909 წ.

# იალქანი

ყოველკვირეული სამეცნიერო, საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი.

რედაქციის დროებითი ადრესი: Тифлисъ, Елисаветинская ул. № 17. Типографія М. Д. Кикнадзе.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, Г-ну Михаилу Давидовичу Кикнадзе, Елисаветинская ул. № 17.

**შინაარსი:** ოსმალეთის რევოლიუცია. — სახელმწიფო დუმაში. — ვით ვიმღერო (ლექსი), ხაშმელისა. — ობროდობის საუცხოვო ნიმუშები, ლ. კანდელისა. — უტოპისტები და მარქსის მოძღვრება, ივ. გომართელისა. — ნანა (ლექსი), გ. ქუჩიშვილისა. — Materialismns Militans, გ. პ—სა. — დილა (ლექსი), დ. თურდოსპირელისა. — შინაური ამბები. — რუსეთის ცხოვრება. — უცხოეთი (ოსმალეთი, სპარსეთი). — პროვინცია. — განცხადებანი.

1195



გაზაფხული.

## ოსმალეთის რევოლიუცია

**თფილისი, 19 აპრილი.**

საზარელ მონობის ბორკილებში დაავადებულ-დახავსებული უბედური ქვეყანა, ეხლა მკვდრეთით ამდგარი, მხნეთ განაგრძობს პოლიტიკურ და მოქალაქობრივ განახლება აღორძინების საქმეს. ოსმალეთის რევოლიუცია მედგარის ნაბიჯით წინ მიდის... შეუზღუდველი თვითმპყრობელი სულთანი აღარ ბრძანებლობს შავ-ბნელ მონობაში მკვნესარე ხალხს. აბდულ-ჰამიდი, რომლის მხოლოდ სახელის გაგონება შიშის ჟრუანტელს ჰგვრიდა ყველას, ვისაც კი მოხვედრია აზიურ დესპოტიზმის გასისხლიანებული ბრჭყალები, აბდულ-ჰამიდი უფლება აყრილია, „წითელი სულთანი“ ტახტიდან ჩამოგდებულია... 31 მარტს მობრუნებული ძველი რეჟიმის, სიკვდილის ძალები კვლავ დათრგუნულია, და წარმტაცათ ლაჟვარდოვანი, მომჯადოებელი ბოსფორი კვლავ გაცისკროვნა თავისუფლების სხივმა.

დიახ, ოსმალეთში პოლიტიკური მოვლენანი სწრაფათა სცვლიან ერთი მეორეს და ბეჯითად მიდიან ისტორიის ულმობელ ლოღიკის გზაზე.

31 მარტს სახელმწიფო გადატრიალება ერთობ უძლური აღმოჩნდა. ძველი რეჟიმის აღმდგენი ბნელი ძალები ჯერ კიდევ არ გამორკვეულიყვნენ უცები გამარჯვების სიმთვრალისაგან, რომ მარმარილოს ზღვიდან, ბოსფორის მხრიდან და ანატოლიის ნაპირიდან კონსტანტინოპოლს მიადგნენ კონსტიტუციის ერთგული ჯარები და სალტესავით შემოერტყნენ სატახტო ქალაქს. ამავე დროს სან-სტეფანოში გამოცხადდა პარლამენტის მთელი შედგენილობა და გახსნა „ნაციონალური კრება“ (ე. ი. ორივე პალატის—სენატისა და ქვედა პალატის შეერთებული სხდომა). „ნაციონალურმა კრებამ“ თავის თავი აღიარა სახელმწიფო სრულ უფლობით, უზენაესობით აღჭურვილათ და უწინარეს ყოვლისა, 31 მარტიდან მომხდარი ყველა სახელმწიფო აქტები გამოაცხადა, როგორც „nule et non avenu“, ე. ი. გაბათილებულათ ანუ უკეთ, „არ ყოფილათ, არ მომხდარათ“. შემდეგ დაადგინა სულთან აბდულ-ჰამიდის ტახტის გადაყენება, რაც დაადასტურა თვით სასულიერო უწყების უმაღლესმა წარმომადგენელმა, შეიხ-ულ-ისლამმაც. დეპეშებმა გვაუწყეს, რომ ტახტზე უკვე ავიდა ახალი სულთანი, მაჰმედ მეხუთის სახელწოდებით. ეს არის ძველი სულთანის ძმა მაჰმედ რეშად-ეფენდი, რომელიც მრავალი წლების განმავლობაში დაპატიმრებული იყო აბდულ ჰამიდის მიერ. დეპეშების სიტყვით, ყოფილი სულთანი გადაიყვანეს ჩირაგანის სასახლეში და იქ ჩაამწყვდიესო. იმავე ცნობებით, უკვე შესდგა ახალი სამინისტრო ახმედ რიზა-ბეის მეთაურობით.

ამ რიგათ, ახალგაზდა ოსმალთა პარტია, რომელსაც მოულოდნელათ ხელიდან გაეშვა სახელმწიფო უფლობა, კვლავ დაუბრუნდა თავის პოსტს და კვლავ ხელში აიღო სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სადავე. ამ მხრით არაფერია შეცვლილი, მაგრამ ოსმალეთის განახლების საქმემ მაინც თვალსაჩინო ნაბიჯი გადასდგა წინ. საქმე ის არის, რომ ახალგაზდა თავისუფლებას ეხლა აღარ ელის საფრთხე სულთანის სასახლიდან, რომელიც მით უფრო საშიში იყო, რომ იქიდან საიდუმლო ბილიკები იყო დაქნილი გერმანელ, ავსტრიელ და სხ. მტაცებლებისაკენ. ახალი სულთანი ველარ შეიძლებს კონსტიტუციის მუხანათობას, რადგან ის ტახტზე ადის რევოლუციის მეოხებით. მეორე მხრივ, დიდათ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ახალგაზდა ოსმალნი და მათთან ერთათ, მემარცხენე ოპოზიცია, დაჩაგრულ ერთა წარმომადგენელნი, დეცენტრალისტები პრაქტიკაზე, მწარე გაკვეთილით დარწმუნდნენ თუ ქვეყნისთვის და მათივე საქმისათვის რამდენათ მნიშვნელოვანია, რამდენათ აუცილებელია განახლების ყველა ძალების სოლიდარული, შეთანხმებული მოქმედება. გაზეთები იუწყებიან, რომ ახალგაზდა ოსმალნი პირობას აძლევენ მემარცხენე ოპოზიციას, რომ ბეჯითად დაადგებიან დემოკრატიულ რეფორმების გზას და დააკმაყოფილებენ დაჩაგრულ ერების სამართლიან მოთხოვნებს. .

ახლო მომავალისათვის მაინც, არა გვჯერა, რომ ახალგაზდა ოსმალთ შეიძლონ ამ დაპირების შესრულება. ამიტომაც ოსმალეთის პოლიტიკური ცა ჯერ კიდევ კარგა ხანს იქნება ლეგა ღრუბლებით დასერილი, და იგი არც გადიწმინდება იმ დრომდე, სანამ ოსმალეთის მდაბიო ხალხი, ფართო მასსა არ აღიჭურვება სათანადო თვითცნობიერებით, სანამ განახლების საქმეს ინტელიგენციასთან ერთათ არ შეუდგება თვითონ ხალხი და სანამ თვით ეს ხალხი არ შეიქნება საკუთარ სვე-ბედის სრული ბატონ-პატრონი.

---

### უკანასკნელი ცნობები

ტახტიდან ჩამოგდებული სულთანი აბდულ-ჰამიდი სალონიკისაკენ წაიყვანეს 11 ცოლით და საჭურისებით. მას ჯერ სიცოცხლე შეარჩინეს და ნაციის მფარველობის ქვეშ დააყენეს. სულთანმა მორჩილება განაცხადა.

სულთანს საჰოქალაქო ტანისამოსი ეცვა, როცა რკინის გზის სადგურზე მივიდა. თავის სიცოცხლეში მან პირველათ შედგა რკინის გზის ვაგონში ფეხი.

ყოფილი დიდი ვეზირი ქიამილფაშა დაპატიმრებულ იქნა. ახალი კაბინეტის შედგენა მიენდო ისევ თევთიკ-ფაშას.

სამხედრო-საველე სასამართლოები ოსმალეთში გაძლიერებით მოქმედებენ. სამართალში მიცემულია 4,000 კაცი.

ადანის ვილაეტში დიდი არეულობაა; ყველაფერს სწვავენ და ანადგურებენ. 5,000 სომეხი ბეირუთში გაიქცა. დასწვეს 100 მისიონერი.

მცხოვრებნი და გაზეთები კმაყოფილებას აცხადებენ სულთანის ჩამოგდების გამო. იმართება დღესასწაულები.

---

# სახელმწიფო დუმაში

—:—

პირველი საყურადღებო საგანი, რომლის განხილვასაც დუმა შეუდგა სააღდგომო კანიკულების შემდეგ, იყო კანონპროექტი შესახებ ავტორთა უფლებისა სალიტერატურო, სამუსიკო, სამხატვრო, საფოტოგრაფიო და სხ. ამ გვარ ნაწარმოებზე.

მოგეხსენებათ, კაპიტალისტურ საზოგადოებაში ეს ნაწარმოებიც ისევე გამოაქვთ სავაჭრო ბაზარზე, როგორც ვაჟსი, საპონი, ტანისამოსი და სხ. საქონელი და

როგორც ყველა სხვა საქონლის მესაკუთრენი, ისე ავტორებიც დაინტერესებულნი არიან თავიანთ ნაწარმოებს, რაც შეიძლება, მეტი ფული ამოაღებინონ; საზოგადოება კი, რა თქმა უნდა, ცდილობს, რაც შეიძლება იაფათ იყიდოს და უფრო ხელსაყრელ პირობებში მიიღოს გრძნობა-გონების უმაღლესი ნაწარმოებნი.

მთავრობის კანონ-პროექტს ეტყობოდა მიკერძება ავტორებისადმი, ხოლო საზოგადოების ინტერესებისადმი კი ნაკლებ მზრუნველობას იჩენდა. ოპოზიციიდან მილიუკოვი სამართლიანათ შენიშნავდა, რომ ისეთ კულტურულათ უკან ჩამორჩენილ ქვეყანაში, როგორიც არის რუსეთი, საზიანო იქნება ავტორთა უფლების იმავე მასშტაბით მფარველობა, როგორც ეს არის დასავლეთის დაწინაურებულ ქვეყნებშიო. დუმა ამ საკითხში დადგა საშუალო, კომპრომისულ ხაზზე.

მე-90-ე სხდომაზე დუმამ მიიღო ნახევარ კაპეიკიანი საფუთო გადასახადი ყველა იმ საქონელზე, რაც გაივლის ქ. ფოთის პორტზე. მომხსენებელის გამოანგარიშებით ეს ქალაქს მისცემს ყოველ წლობით 260,000-დე მანეთს. ეს გადასახადი, რომელიც უმთავრესად ედება შავ-ქვას, ეჭვს გარეშეა, მძიმე ტვირთათ დამწვება წვრილებს და უფრო კი მუშა ხალხს; ამასთანავე, საგრძნობელ დაბრკოლებას დაუყენებს მთელ ჩვენ ქვეყნის შავი ქვის საქმეს, და თუ ფოთი ქვეყნიერებიდან მოწყვეტილი კუნძული არ არის, ცხადია, რომ საბოლოო ანგარიშით, მიღებულ კანონ-პროექტის გამო არც ფოთელებსა ჰმართებთ დიდი ალტაცება.

იმავე სხდომაზე განიხილეს კანონ-პროექტი შესახებ იმისა, რომ სამხედრო-საოლქო სასამართლოებსა და პროკურატურას მიემატოს კრედიტი საკანცელარიო და სხვა სამეურნეო ხარჯების დასაფარავათ. მომხსენებელი ამ ფულის მომატების საჭიროებას იმით ასაბუთებდა, რომ უკანასკნელ წლებს სამხედრო სასამართლოებს წარსულთან შედარებით საქმეები ერთი ორათ და სამათ მოემატაო. ამაზე დეპ. ჩხეიძემ, სხვათა შორის, შენიშნა: ჩემის აზრით, საქმეები მათ ერთი ათათაც მოემატათ, მაგრამ აქედან კიდევ ის არ გამომდინარეობს, რომ ფულიც უნდა მოემატოს ამ სასამართლოებსო. „სოციალდემოკრატია ფულს ვერ მისცემს სალრჩობელებისთვისო“. კანონ-პროექტი დუმამ საშურათ იცნო, მიღო და გადასცა სარედაქციო კომისის.

იმავე სხდომაზე დუმის თავმჯდომარემ აუწყა კრებას, რომ სოც.-დემოკრატიულ ფრაქციამ შეიტანა მთავრობისადმი შეკითხვა, რომელიც დაფუძნებულია წერილზე, რაც ფრაქციისათვის გამოუგზავნია მეორე დუმის ყოფილ დეპუტატს ლომთათიძეს, რომელიც ამ ჟამათ სევასტოპოლის ციხეში ზის და რომელიც იტყობინება, ვითომ სიკვდილით დასასჯელებს სიკვდილის წინ სტანჯავენ და აწვალებენო. ხმა მარცხნიდან: „გთხოვთ წაიკითხოთ შეკითხვის ტექსტი, სადაც მოყვანილია ლომთათიძის წერილი“, მარჯვნიდან: „გთხოვთ არ წაიკითხოთ, არ წაიკითხოთ“. ცენტრში ხმაურობაა. კითხულობენ შეკითხვის ტექსტს, დარბაზში გაუწყვეტელი ხმაურობაა. ლომთათიძის წერილი ასე იწყება:

„ჩემი ციხეში ჯდომა პირველი არაა. არც ის მესმის პირველათ, თუ რა ხდება სატუსაღოს კედლებს შიგნით. მაგრამ ის, რაც აქ ხდება, იმდენათ არაჩვეულებრივი და უმაგალითო რამ არის, რომ ერთ მის მოგონებაზე შიშისაგან ჟრუანტელი მივლის და ენა მივარდება“*).

სოც. დემ. ფრაქცია ითხოვს შეკითხვა საშურათ იქმნას ცნობილი. მემარჯვენენი წინაამდეგნი არიან. საკითხს კენჭი უყარეს. სოციალდემოკრატებს მხარი დაუჭირეს: ტრუდოვიკებმა, კადეტებმა, მირნოობნოვლენცებმა და პოლონელ კოლომ. სულ შესდგა 76 ხმა. წინაამდეგ წავიდენ: ოქტომბრისტები, ზომიერი მემარჯვენენი, მემარჯვენენი—სულ 118 ხმა. მარცხნიდან მოისმის: გულზე ჯვარი უნდა გრცხვენოდეთ; ეპისკოპოსებო, მოიხსენით ჯვრები. ხმა მარცხნიდანვე: „არც ერთი მღვდელი არა სდგას ფეხზე. ყველანი მომხრენი არიან სიკვდილით დასჯისა“. მარჯვნივ და ცენტრში ხმაურობა. შეკითხვა გადაეცა კომისიას.

მე-93-ე სხდომაზე დუმა მეტათ განაცხოველა საინტენდანტო გამგეობის სმეტის განხილვამ. თითქმის არც ერთი ფრაქციის წარმოადგენელი არა ზოგავდა ფერადებს, რომ მთელის სინამდვილით დაეხატა ის საშინელი სურათი სახელმწიფო ფულის გაფლანგვისა, ქურდობა მექრთამეობის და სხვა მრავალ ბოროტმოქმედებათა, რაც გამეფებულია ამ უწყებაში. ოქტომბრისტების ბელადმა, სხვათა შორის, დაასახელა, რომ საჭიროა სასტიკი კონტროლი ადმინისტრატიული და საზოგადოებრივი, მაშასადამე პრესის თავისუფლების გაფართოება, საჭიროა მართლმსაჯულების ბადეში ებმებოდეს არა მარტო ჭიჭყინა თევზები, არამედ, რაც უმთავრესია, დიდი კაპუეტებიო. ეს ყველა კარგი ზომებია, მაგრამ ბ-ნ გუჩკოვმა ის კი ველარ სთქვა, რომ შეუძლებელია რომელიმე ასოს განკურნება, როცა დაავადებულია მთელი ორგანიზმი, რომ ამაო არის რომელიმე უწყების გამოკეთება, როცა გამოკეთებას, რეორგანიზაციას ითხოვს სახელმწიფოს მთელი მართვა-გამგეობა. მაგრამ გუჩკოვის სიტყვა მაინც მოიწონა მთელმა დუმამ და თვით პურიშკევიჩი ალტაცებისაგან შეხტა და დაიძახა: („Гучковъ молодчина!“) (გუჩკოვი ყოჩაღი ბიჭია!“) (ტაშის ცემა. სიცილი).

---

*) ეს წერილი სრულათ არის დაბეჭდილი „ჩვენ საქმეში“ იხ. № 34.

---

# ვით ვიმღერო

—:—

ვით ვიმღერთ დღეი-დღეა,  
ოდელია ნანუნი,  
ოდეს ყურთა სმენას შხამავს  
ბორკილების ჟღარუნი!

ტანჯულთ კვნესა ცას სწვდება,
ცრემლები მიწას რწყავს,
ხალხს, ჩაგრულს და განაწამებს,
ქომაგი არსად ჰყავს...

—

ვით ვიმღერთ დელი-დელა,
ოდელია ნანუნი,
მოძმე დუხჭირ ცხოვრებისგან
წელშია მონადუნი!

—

შვებით არ მზერს გაზაფხულზე
მდელოს ამწვანებულსა,
არც ბულბულის ხმა ამებს,
მწარედ დაღონებულსა...

—

ვით ვიმღერთ დელი-დელა,
ოდელია ნანუნი,
ცხოვრებაში მხოლოთ ტანჯვა
გვაქვს წილად მონარგუნი!

—

გულს დაჩაგრულს აროდეს
ღირსებია სიყვარული,
და არც ვიცი, თუ რა არის
შვება ან სიხარული...

**ხაშმელი.**

## ობროდობის საუცხოვო ნიმუშები

როდესაც ამ თხუთმეტი წლის წინათ ჩვენში — ქართველობის ზოგიერთ წრეების აღსაშფოთებლათ და მეორეთა დასალხინებლათ — პირველათ გამოვიდა ასპარეზზე ახალი სოციალ-პოლიტიკური მიმდინარეობის მატარებელი ჯგუფი — „მესამე დასი“, „აღშფოთებულნი“ ერთი ხანობა გატრუნებულნი ყურს მიაპყრობდენ ახალ სწავლა-მოძღვრებას; ესენი კმაყოფილდებოდენ იმით, რომ „დასელებს“ კერძოთ, ოჯახებსა თუ „სალონებში“ დასცინოდენ და მასხარათ იგდებდენ; ხოლო მათ წინააღმდეგ პრესაში გამოლაშქრებას, პრინციპიალურ კამათს ერთი ხანობა როგორღაც ერიდებოდენ. ეს გარემოება მით უფრო იქცევდა ყურადღებას, რომ „ძველების“ ბანაკში იპოვებოდა საკმაო რიცხვი დამსახურებულ მწერლებისა, იქ იმყოფებოდა, მაგ. ისეთი სახელოვანი პუბლიცისტი, როგორც არის ბ-ნ ნ. ნიკოლაძე. მაგრამ ესეც ისე, როგორც სხვა მისი ამხანაგები, სდუმდა.*) აი ასეთ დროის მარქსიზმის წინააღმდეგ დაიბეჭდა გრძელი ფელეტონები, დატვირთული მრავალი ციტატებით, მეცნიერთა სახელებით, ღრმააზროვან ტერმინებით და სხვა მეცნიერულ-ფილოსოფიურ სამკაულებით. ამ რიგათ, „ძველებს“ ბედმა გაუღიმა, მათ იშოვეს თავისი გმირი. ვინ იყო იგი? მოხსენებულ ფელეტონების ავტორი, როგორც შეჭფერის ბუმბერაზ პიროვნებას, მორცხობით ამოჰფარებოდა პაწია ინიციალებს: „ვ. წ.“ აღსანიშნავია მხოლოდ ის გარემობა, რომ ბ-ნი ვ. წ. არაფრად არ ჩააგდეს არა მარტო „მესამე დასელებმა“; მას ძალიან ნაკლები ყურადღება ათხოვა თვით იმ ბანაკმაც, ვის მცველ-მფარველათ იგი გამოვიდა. და თუმცა იმ დროიდან აქამომდე ვ. წ.—ს ძალიან ბევრი ქაღალდი გადაუშავებია მელნით, დღეს იმისი არსებობაც კი იშვიათათ ახსოვს ვისმე. მაგრამ თვითონ ვ. წ.—ს არ დავიწყებია თავისი თავი. პირიქით, იგი თავის თავს „ძველი ბანაკის“ ნაფიც ვექილათა სთვლის და როცა კი მარქსისტების ბანაკში ჩნდება რაიმე საყურადღებო მოვლენა, რომელიც კი ასე თუ ისე ეხება ძველ პატრიოტების ბანაკს, ვ. წ. „კბილებამდის შეიარაღებული“ ბრძოლის ველზე სდგას.

ამასწინათ ამ ფილოსოფოს-მეცნიერ-მეომარმა „ნიშადურის“ ერთ ალმანახში*) მოათავსა ათ სვეტიანი მეთაური წერილი, რომელიც ასე იწყება: „ერთი უცნაური მიმართულება კიდევ აღმოაცენა ჩვენმა უბადრუკმა ცხოვრებამ, ტყვილა (?) კი არ ამბობენ, გადაშენების გზას ვადგივართო“.

როგორც ჰხედავთ, უამბოთ არ ამხედრებულა ჩვენი „ფილოსოფოსი“. ნეტა რა მოხდა, რაში აღმოჩნდა ქართველობის გადაშენების სიმპტომი? ბ-ნი ვ. წ. გვატყობინებს: „წაიკითხეთ „ჩვენი კვალი“; წერილები „ონისა“ ნაცრის შესახებ პირველი ნომრიდან უკანასკნელამდის“. (...ნუ თუ?! ლ. კ.) და რომ თავის გალაშქრების მნიშვნელობა მკითხველს სავსებით დაუყენოს თვალ წინ, იგი ასეთ ატესტაციას აძლევს თავის მოწინააღმდეგეს: „მერე როგორი რიხითა და კადნიერებით გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე! იგინება, ილანძღება, და იფურთხება მარცხნითაც და მარჯვნითაც, მტრებისკენა და მეგობრებისაკენაც. უცნაურია მისი განწყობილება მართლმადიდებელ სოციალ-დემოკრატებთან, ხან მტრებათ აღიარებს და სხ.“ (კურსივი ჩვენია).

როცა მოწინააღმდეგეს ასე უდივრათ იხსენიებ, ლიტერატურული რიგიანობა და მართებულობა ითხოვს შენი ნათქვამი დაასაბუთო მისივე ნაწერებიდან. მაგრამ ბ. ვ. წ. ასე არ იქცევა, და არ იქცევა იმ უბრალო მოსაზრებებით, რომ მას ზემორე ატესტაციის დასასაბუთებლათ ონის ნაწერებიდან არ შეუძლიან მოიყვანოს არც ერთი სტრიქონი, არც ერთი სიტყვა. რაც შეეხება კერძოთ ვ. წ.—ის გულმტკივნეულობას იმის შესახებ, რომ ონი „უცნაურ განწყობილებაშია მართლმადიდებელ სოციალ-დემოკრატებთან“, რომ იგი ამ უკანასკნელთ „მტრებათ აღიარებს“, ესეც ადვილი გასაგებია. ვ. წ. თვითონვე ჰგრძნობს თავის დაძა-

---

*) ამის შესახებ ლეგენდებიც კი დადიოდა იმ დროს. ამბობდენ — ბ-ნ. ნიკოლაძემ აიღო მარქსის კაპიტალი, ატრიალა ხელში, მაგრამ ვერ დასძლია და მალე ისევ გვერდზე გადადოვო.

*) „იხ. ძალა“ № 5.

ბუნებას და ამიტომ ცდილობს ონის დასამარცხებლათ „მართლმადიდებელნიც“ მოიშველიოს.

მაგრამ გადავიდეთ უმთავრეს საგანზე. რას უჩივის ონს ბ-ნი ვ. წ.?

„ავტორი (ე. ი. ონი) — აცხადებს იგი — უარჰყოფს ენის, ტერიტორიის, შთამომავლობის და ისტორიის მნიშვნელობას ერის შექმნის პროცესში. და ბოლოს მაინც აღიარებს განსხვავებას სხვა ერებს შორის. აი რა ლოღიკის პატრონი იჩემებს ახალი პარტიის შექმნას*).

ამ ციტატაში უკვე ამოჩრილია ობროდობის საუცხოვო ნიმუშების ვეება თაიგული. განვიხილოთ ცალცალკე.

### ნიმუში პირველი.

ონი სხვათა შორის სწერდა, რომ ენა არ შეადგენს იმ დედა-ძარღვს, რომელსაც განუყრელათ თან სდევდეს ესა თუ ის ეროვნება, და მოჰყავდა ამის მაგალითები: ქართველ ინტელიგენციას და მაღალ წრეებში ბევრი იმდენათ მწყრალათ არის ქართულზე, რომ შინ და გარეთ რუსულ ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ მათ რუსებათ მაინც არავინა სთვლის; ირლანდიელები და ინგლისელები ერთსა და იმავე ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ ერთსა და იმავე ეროვნებას მაინც არ წარმოადგენენ, და მათ ეროვნულ სხვა და სხვაობას ჰმოწმობს ის გარემოებაც, რომ ირლანდიელები დღევანდლამდე ენერგიულათ ითხოვენ ავტონომიას.

ამაზე ბ. ვ. წ. აცხადებს: „შემცდარი აზრია“; პირველ მაგალითში მოხსენებული პირები „გარუსებულია“. უკანასკნელ სიტყვას ბრჭალებში სვამს ალბათ იმ მოსაზრებით, რომ თუ ხსენებულ პირებს ნამდვილ გარუსებულათ გამოაცხადებდა, ამით თავის წინააღმდეგ აამხედრებდა იმ საზოგადოებრივ წრეებს, რომელნიც, მიუხედავათ იმისა, რომ ძალიან მწყრალათ არიან ქართულ ისტორიასა, ლიტერატურისა და ენისცოდნასთან, მუდამ ყურებს გვიჭედენ თავიანთ ნამდვილ ქართველობისა და მამულიშვილობაზე ყვირილით. ირლანდელებსა და ინგლისელებზე ვ. წ. შენიშნავს, რომ რადგან ისინი ერთსა და იმავე ენაზე ლაპარაკობენ, „უკვე ხიდია გადებული ამ ორი ერის ერთ ერად გარდაქმნისათვის: ამისთვის საკმაოა დაინგრეს ხელოვნური კედელი, აღმართული მათ შორის, ე. ი. (?!) მიენიჭოს ირლანდიას ავტონომია“.

როგორცა ჰხედავთ, ორი სხვა და სხვა ერი, რომელნიც განიცდიან ერთ ერათ გარდაქმნის პროცესს, თურმე ესწრაფიან პოლიტიკურათ გაყოფა-გამიჯვნას, რათა ამ რიგათ დააჩქარონ პროცესი ეროვნულ გაერთიანებისა.

*) უკანასკნელი ტრიქონი, ვ. წ. შეუგნებლათ წამოსცდენია, რადგან თავის წერილის დასასრულ თვითვე ამჟღავნებს, რომ ის მიმდინარეობა, რამაც თავი იჩინა „ალიონ“ „ჩვენ-კვალსა“ და ონის ნაწერებში, სრულებითაც არ შეიცავს ახალ პარტიას. ლ. კ.

ეს ერთობ... ორიგინალური მოვლენაა!

მაგრამ ჩვენი „ფილოსოფოსის“ „ორგინილობა“ კიდევ უფრო შორს მიდის. ვ. წ. გადაჭრით აცხადებს, რომ ონი „უარჰყოფს ენის მნიშვნელობას ერის შექმნის პროცესში“-ო, ნამდვილათ კი აი რასა სწერს ონი: ...„ენის საშუალებით ინახება ზნე-ჩვეულება, ენით, ზეპირ სიტყვით და ნაწერი თუ ბეჭდვური სიტყვით ერთი თაობიდან მეორეზე გადადის ადამიანთა ცოდნა-გამოცდილება და სხ. ენას უეჭველათ შესწევს ძალა ნაციის ჩაკირვისა და კონსოლიდაციისა, ენის როლი იმდენათ დიდია, რომ ძნელია მისი მნიშვნელობის გადაჭარბება“.*)

ცხადია იმდენათ დიდი ყოფილა ბ-ნ ვ. წ.—ის ობროდობა, რომ მას მარტივათ ნათქვამ მარტივი აზრის გაგებაც აღარ შესძლებია.

—

### ნიმუში მეორე.

ონი სწერდა, რომ ტერიტორია დამახასიათებელია სახელმწიფოსი და არა ნაციისა, რომ „ტერიტორია არის შემადგენელი ელემენტი სახელმწიფოსი. ასე გვასწავლის თვით სახელმწიფო უფლება“ (იქვე. 34). ამაზე ბ-ნი ვ. წ. აცხადებს: „ესეც ხომ შემცდარი აზრია... სახელმწიფო უფლება სრულიად არ ეხება ეროვნულ საკითხს... მაგრამ ეს მეცნიერება აღიარებს... რომ თითეულ ერს უნდა ქონდეს მინიჭებული ავტონომია თავის ტერიტორიაზეო“.

მოგეხსენებათ, თეორიაც და პრაქტიკაც ეროვნულ საკითხის გადასაჭრელათ სახელმწიფოში ერთად-ერთ საშუალებათ სცნობს ავტონომიას (კამათია მხოლოდ იმის შესახებ, თუ სად რომელი ტიპის ავტონომია სჯობია). ვ. წ. ირწმუნება—სახელმწიფო უფლება იძლევა ეროვნულ საკითხის გადაჭრასო და იმავე დროს აცხადებს, რომ ეს მეცნიერება „სრულიად არ ეხება ეროვნულ საკითხსო“! ეს რაღაც ძალიან ობროდული გამოდის. მაგრამ ჩვენი „მეცნიერი“ სრულიად ვერ ამჩნევს ამას და არხეინათ მოჰყოლია: „ზოგან ტერიტორია მთიანია, ზოგან ვაკეა; ზოგან საძოვრებია, ზოგან სიმინდი მოდის, ზოგან პური; ზოგან ნესტიანი ჰავა, ზოგან მშრალია, ზოგან ცივა, ზოგან ცხელა“... ჰერი ჰა!... ჰა ბიჭო!...

მერე ვინ არ იცის: რომ „ზოგან ცხელა, ზოგან ცივა“?... ვინ არ იცის, რომ გეოგრაფიულ არეს, გარშემორტყმულ ბუნებას დიდი გავლენა ჰქონია რასიულ თვისებათა შექმნაზე. ამას, რა თქმა უნდა, არ უარჰყოფს ონი. იგი მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ტერიტორია არ არის ნაციის არსების შემადგენელი ელემენტი და მიუთითებს იმ აშკარა ფაქტზე, რომ ერი, მოკლებული ერთიან ტერიტორიას, მაინც განაგრძობს ეროვნულ არსებობასა და განვითარებას. ამ ფაქტს თვითონ ვ. წ.-ც კი ჰხედავს. ეს მა-

*) იხ. „ჩვენი კვალი“ 1908 წ. № 3. გვ. 35.

ტონი მხოლოდ შენიშნავს, „რომ ცოტაა ისეთი ერი, რომ თავისი ტერიტორია არ ქონდეს“. მიუხედავად ამისა ვ. წ. მაინც დაასკვნის: „ერი და ტერიტორია — განუყოფელი ცნებაა!“

და ტერიტორიას, კი რომ ონი საკმაო მნიშვნელობას აძლევს ერის არსებობისათვის, ამას, ვგონებ, ნათლათ უნდა ჰმოწმობდეს მისი თუნდ შემდეგი სტრიქონები: „თუ ნაცია იმდენათ დაიქსაქსა ტერიტორიალურათ, რომ მას აღარ მოეპოვება ერთი ნაციონალური კერა, ე. ი. ერთი ადგილი, სადაც სცხოვრობდეს განსაზღვრული რიცხვი მისი ეროვნების ადამიანებისა, თუ აღარ მოეპოვება ერთი თუნდ პატარა აუზი, საიდანაც ეროვნული სიცოცხლის ნაკადული ეგზავნებოდეს მის დაქსაქსულ ნაწილებს, მაშინ ეს ნაცია უეჭველათ ისპობა... ტერიტორიას დიდი მნიშვნელობა აქვს ნაციის განვითარებისთვის, ის ერთობ დიდ როლს თამაშობს ნაციის ბედ-იღბალში.“ (იქვე გვ. 34—35).

ამის შემდეგ ბ. ვ. წ. გამოსულა და გაიძახის: „ავტორი (ე. ი. ონი) უარჰყოფს ტერიტორიის მნიშვნელობას ერის შექნის პროცესში“-ო. შეიძლება მკითხველმა ასეთი ძახილი ვ. წ.—ს უსირცხვილო თავხედობათ ჩამოართვას, მაგრამ ნამდვილათ კი ვ. წ.—ს ასეთი ქცევის მიზეზია მისი უკურნებელი ობროდობა.

დანარჩენ ნიმუშებზე შემდეგ.

ლ. კანდელი.

# უტოპისტები და მარქსის მოძღვრება

## IV.

რაც უფრო ჰკარგავდა გავლენას სენსიმონის მოძღვრება„ მით უფრო ძლიერდებოდა ფურიეს სწავლა. ფურიეს მოძღვრებამ უფრო მეტი თანამგძნობი მოიპოვა, უფრო ძლიერი მოძრაობა გამოიწვია საზოგადოებაში და მუშათა გათვითცნობიერებასაც ხელი შეუწყო. ფურიერიზმი დაიბადა სენსიმონის სიკვდილის შემდეგ. მისი დამაარსებელი იყო ფურიე, სენსიმონის თანამედროვე და თანამემამულე.

რამდენათაც სენსიმონის ცხოვრება იყო მდიდარი, რთული, მრავალფეროვანი და სხვა და სხვა თავგადასავლით სავსე, იმდენათ ფურიერ ცხოვრება იყო მარტივი, მშვიდი და ერთფეროვანი. ფურიე დაიბადა 1772 წელს. ის იყო ღარიბი დედმამის შვილი და მიიღო თუ არა პირველდაწყებითი განათლება, იძულებული იყო რაიმე საქმისათვის მოეკიდებია ხელი, რომ ღარიბ ოჯახს რითიმე დახმარებოდა. ის მიაბარეს პატარა დუქანში, სადა ის დახლში იჯდა და საქონელს აწვდიდა მუშტარს. ჩავარდა თუ არა გონებაში, თავისუფალ დროს სულ კითხვას ანდომებდა. ის განსაკუთრებით გაიტაცა მისი დროის სოციალისტურმა მწერლობამ. მას ჰქონდა ღრმა ნიჭი დაკვირვებისა; რაც უფრო მეტ ცოდნას იძენდა, მით უფრო ებადებოდა მას ძლიერი სურვილი ცხოვრების ძირიანათ გარდაქმნისა. ამ დროს ის იყო ნოქრათ მაღაზიაში. ნოქრობას დაანება თავი და გადაწყვიტა თავისი თავი ახალი წყობილების დამყარებისათვის შეეწირა. ამ დღიდან მან მოჰკიდა ხელი მწერლობას, სადა დახატა სენსიმონზე გაცილებით უფრო მკაფიოთ ნათლათა და დაწვრილებით ის ახალი ცხოვრება, რომელსაც ყველასათვის უნდა მიენიჭებია თანასწორობა და კეთილდღეობა.

საზოგადოებრივი ცხოვრების ერთათ ერთი მიზანი, ფურიეს აზრით, არის ადამიანის უმაღლესი ბედნიერება. ადამიანი მხოლოთ მაშინ არის ბედნიერი, როდესაც ის დაუბრკოლებლათ იკმაყოფილებს ყველა მოთხოვნილებას როგორც სულიერს, ისე ხორციელს. დღეს უმრავლესობა უბედურია. რა არის ამის მიზეზი? მოთხოვნილებათ დასაკმაყოფილებლათ საჭიროა ქონება, სიმდიდრე. კეთილ დღეობა და თავისუფლება. იქ, სადა სიმდიდრე არ არის, ყოვლათ შეუძლებელია. კეთილდღეობის აუცილებელ პირობას ფურიეს აზრით შეადგენს სიღარიბის მოსპობა. დღეს კი საზოგადოებაში დიდი უმრავლესობა ღარიბია და აქედან ცხადია, რომ არსებული წყობილება არაფრათ არ ვარგა. საზოგადოებრივი წყობილება ეროვნული სიმდიდრის დაგროვებას უნდა უწყობდეს ხელს. ჩვენ კი რას ვხედავთ? დღევანდელი წყობილება მხოლოთ მცირე ნაწილს ამდიდრებს, დიდი უმრავლესობის სიღატაკე კი დღითიდღე მრავლდება. სიღატაკის ერთ უმთავრეს მიზეზს ის გარემოება შეადგენს, რომ შრომის დიდი ნაწილი უქმათ, უსარგებლოთ იკარგება. უსარგებლოთ იხარჯება სამხედრო წოდების შრომა, უსარგებლოა ვაჭრები, უსარგებლონი არიან სხვა და სხვა მოხელეები, შინაური მოსამსახურეები და ყველა ის მუშები, რომლებიც ადამიანის სასარგებლო ნივთებს არ ამზადებენ. სხვები, ფურიეს, იზრით იმგვარს შრომაში არიან ჩაბმული, რაც ადამიანის კეთილდღეობას კი არ უწყობს ხელს, არამედ მსოლოთ ადამიანის უბედურებას. გარდა ამისა არსებულმა წყობილებამ შექმნა მთელი რაზმი ქურდებისა, ავაზაკებისა, როსკიპებისა და სხვ. რომლებიც სხვა პირობებში და სხვა წყობილებაში საზოგადოებისათვის სასარგებლონი იქნებოდენ, დღეს კი ზარალის მეტი არაფერი მოაქვთ. მეურნეობა ხომ იმგვარათ სწარმოებს ფურიეს აზრით, რომ იქ ადამიანის შრომას იმის მესედიც არ მოაქვს, რისი მოცემაც შეუძლია. ყოველ ოჯახს აუშენებია თავისთვის ქოხი, შემოუფარგლავს მიწა და თუმცა დილიდან საღამომდე ოფლსა ღვრის, მაგრამ თავსაც ვერ ირჩენს.

ამის ნაცვლათ ყველამ რომ შეაერთოს თავისი მიწები, დადგან საერთო დიდი სახლი და საერთო შრომით დაიმუშაონ ყანები, შემოსავალი ძალიან იმატებს და ყველას ცხოვრება გაუმჯობესდება. შრომა-მოქმედება ფურიეს აზრით ადამიანის მოთხოვნილებას შეად-

გენს და მისი დაკმაყოფილება სასიამოვნო უნდა იყოს; დღეს კი რას ვხედავთ?

შრომა უმეტეს ნაწილს ემძიმება, ის არავისათვის არ არის სასიამოვნო. ამის მიზეზი, ფრუიეს აზრით, ცხადია: უმეტესი ნაწილი სიღარიბისა გამო იძულებულია, იმ შრომას დაადგეს, იმ საქმეს მოჰკიდოს ხელი, რომელიც მას ლუკმა პურს მისცემს და არა იმას, რომელიც მას მოსწონს, რომლისკენაც მისი გული, მისი მიდრეკილებაა. ამგვარს ძალდატანებით შრომას ხალისი—მიმზიდველობა სიმშვენიერე სიამოვნება აკლია, ამიტომ ნაყოფიც ცოტა მოაქვს. მოაწყვეთ საზოგადოებაში შრომა ისე, რომ ყოველი ადამიანი უზრუნველყოფილი იყოს და იმ საქმეს ჰკიდებდეს ხელს, რაც მის ბუნებრივ ნიჭსა და მიდრეკილებას შეეფერება. მაშინ შრომა დაჰკარგავს დღევანდელ ხასიათს ძალთატანებისას ლჭის ყოველი ადამიანისათვის სასიამოვნო იქნება. მაშინ შრომაც გაცილებით მეტ ნაყოფს მისცემს საზოგადოებას, ვიდრე დღეს. დღეს წარმოების სხვა და სხვა დარგს შორის არავითარი კავშირი არ არსებობს გარდა ფულისა. ერთი აწარმოებს, იმიტომ რომ გაჰყიდოს, მეორეც იმიტომ რომ გაჰყიდოს, მესამეც, მეოთხეც და სხვ. ყველა თავისთვის ფიქრობს, თავისთვის ცდილობს; ერთის შრომით მეორე მდიდრდება და აქედან იბადება შური და მტრობა. წარმოება უნდა იყოს საერთო, ყოველი დარგი წარმოებისა ერთმანეთთან უნდა იყოს ისე შეკავშირებული, რომ ყოველი ადამიანის ინტერესი დაცული იყოს; მაშინ სრული თანხმობა იქნება საზოგადოებაში და საერთო შრომით ყველა ხელს შეუწყობს საერთო კეთილდღეობას.

ამგვარია საზოგადოებრივი წყობილების ყველა ის უმთავრესი ნაკლი, რომელთა წყობილობითაც საზოგადოება მოკლებულია კეთილდღეობას და ბედნიერებას ზოგი არაფერს არ აკეთებს, და მშრომელ ხალხს აწევს კისერზე; სხვების მოქმედებას სარგებლობის მაგიერ ზარალი მოაქვს; წარმოება, მეურნეობა და შრომა ისეა მოწყობილი, რომ ნაყოფი ცოტა მოაქვს და მტრობას და სიძულვილს კი ავითარებს. ყველა ამ მიზეზებისა გამო ხალხის უმრავლესობა ღატაკია და სანამ ის არ მოსპობს ყველა ამ მიზეზებს და ცხოვრებას სულ სხვა ნიადაგზე არ ააშენებს, სიღატაკიდან ის თავს ვერ დააღწევს და ვერავითარ კეთილ დღეობასა და ბედნიერებას ვერ ეღირსება: ის მუდამ ლუკმა პურის მონა იქნება.

—

როგორია ფურიეს ახალი წყობილება, საცა ღატაკი არავინ არ არის და ყველა კმაყოფილი და ბედნიერია?

საზოგადოებრივი წყობილების მიზანია სიმდიდრის შექმნა და ხალხის კეთილდღეობისა და გონებრივ-ზნეობრივი განვითარების მოწყობა სიმდიდრის შემწეობით. ეს შესაძლებელი იქნება ფურიეს აზრით მხოლოთ მაშინ, როდესაც მიწა, შრომა და კაპიტალი ერთმანეთს შორის შეთანხმებული იქნებიან. ამისათვის კი საჭიროა კერძო საკუთრება საზოგადო უნდა იყოს, საზოგადო ზედამხედველობის ქვეშ უნდა სრულდებოდეს და ყოველ მშრომელს ნაწილი უნდა ჰქონდეს საერთო ნაწარმოებში თავის შრომის კვალობაზე. შემდეგ ფურიეს დაწვრილებით აქვს აწერილი თუ როგორ უნდა იყოს მოწყობილი საერთო წარმოება. ყოველი ოთხასი ოჯახი წარმოადგენს ერთ კრებულს ანუ ფალანგას. ფალანგას აქვს საერთო მიწა, საერთო იარაღები წარმოებისა და საერთო სადგომი, რასაც ფურიე უწოდებს ფალანსტერს. ფალანსტერში სწარმოებს საერთო მრეწვე-ლობა, საერთო მეურნეობა. ყველა სადი და სრულ წლოვანი ასრულებს იმ საქმეს, რომელიც მას უფრო მოსწონს. ამგვარათ აქ არსებობს მსხვილი მრეწველობა; ფალანსტერში ხმარობენ ყოველგვარ მანქანებს და ამიტომ შრომა მეტათ ნაყოფიერია, მეურნეობაშიაც გამეფებულია მანქანები, რის გამო მიწა დიდ მოსავალს იძლევა. თვითეულ ფალანსტერს არა თუ ჰყოფნის თავის მიერ დამზადებული საქონელი და მოყვანილი მოსავალი, ძალიან ბევრსაც ჰყიდის და მის ნაცვლათ სხვა ფალანგისაგან ჰყიდულობს მას, რაც მისთვის საჭიროა. აუარებელ სიმდიდრის წყალობით ყველას ცხოვრება საუცხოვოთ არის მოწყობილი. ფალანსტერი წარმოადგენს მშვენიერ სასახლეს, გარეშემო მას არტყია საუცხოვო ბაღები, ფაბრიკები და შენობები მეურნეობისათვის. თვითონ ფალანსტერში — გარდა სადგომებისა ყოველ ოჯახისათვის — არის ეკლესია, თეატრი და დიდი საზოგადო დარბაზები, საცა იმართება კრებები, გამოფენა, საღამოები და სხვ. თავის სადგომს ყველა ისე აწყობს, როგორც იმას უნდა. ყოველგვარ ავეჯსა და მოწყობილობას მას აძლევენ საზოგადო ქონებიდან. ფალანსტერში მზადდება საერთო სადილ-ვახშამი, მაგრამ ყოველ ოჯახს სრული უფლება აქვს, თუ კი უნდა, თვითონ მოიმზადოს სადილი თავისთვის.

ყოველ ადამიანს თვისი საკუთარი მიდრეკილება აქვს, საკუთარი გემოვნება. ერთს მოსწონს ერთი საქმე, მეორეს მეორე და სხვ. ამიტომ ფალანსტერში არავითარი ძალდატანება არ არსებობს, იქ ყველა აკეთებს იმ საქმეს, რაც იმის სურვილს შეეფერება; ერთი და იმავე საქმის მოყვარულნი ადგენენ ერთ ჯგუფს, ამგვარათ ფალანსტერი იყოფა მომქმედ ჯგუფებათ. სიზარმაცეს აქ ალაგი არ ექნება, რადგანაც ყველა აკეთებს მას, რაც იმას მოსწონს. პირიქით, სახელისა და პატივისცემის მოპოების სურვილი ისე გაუძლიერდება ამგვარ პირობებში ყოველ ადამიანს, რომ ყველა ეცდება ერთი მეორეს გაუსწროს ნაყოფიერ შრომაში.

რადგანაც პირველ ხანებში ფალანსტერების მოწყობისათვის ფულია საჭირო, ამიტომ მათი მოწყობა უნდა ითავონ კაპიტალისტებმა. ისინი ამას დიდის სიამოვნებით იკისრებენ, რადგანაც თუ მოიგებენ, თორემ არაფერს არ წააგებენ. ამიტომ პირველ ხანებში ყოველ ფალანსტერის შემოსავალი იყოფა თორმეტ ნაწილათ. აქედან ხუთი ნაწილი ეძლევა მუშებს, ოთხი კაპიტალისტებს და სამი განსაკუთრებულ ნიჭის პატრონებს, რომლებიც

თავისი ნიჭით მეცნიერებას, ხელოვნებას ან საწარმოვო ტეხნიკას ავითარებენ. როდესაც ფალანსტერი კაპიტალისტის ფულს გაისტუმრებს, მაშინ ეს მესამედი მთელი შემოსავლისა გადიდება საზოგადო თანხაში ფალანსტერის მოსახმარებლათ. ყოველ მშრომელს ეძლევა ფალანსტერში იმდენი, რამდენსაც ის შრომობს. ვინც მეტს შრომობს, მას მეტს აძლევენ. ვისაც მეტი ნიჭი აქვს, ის მეტს იღებს. ასეთ ფალანსტერში შრომისა და წარმოების რიგიანათ მოწყობითა და წარმოების სამართლიანათ განაწილების წყალობით სიმდიდრე ყველასა ჰყოფნის, შრომა ყველასათვის სასიამოვნოა; დაქანცვით არავინ არ იქანცება, რადგანაც ყველა ზომიერათ მუშაობს და გარდა ამისა მთელი წარმოება მანქანებზეა დამყარებული. ყველა ისე ხმარობს თავისუფალ დროს, როგორც მას სურს; მუშაობის შემდეგ ყოველ ადამიანს შეუძლია სწეროს, იკითხოს, გონებრივათ განვითარდეს და სხვ. აქ ყველა კმაყოფილია, ყველა ბედნიერია, არავის არაფერი არ აკლია.

როგორც ჰხედავს მკითხველი, ფურიეს ფალანსტერში შრომა და კაპიტალ ერთმანეთში მორიგებული, შეთანხმებულია. ე. ი. აქ მუშებსა და კაპიტალისტებს შორის არავითარი უთანხმოება და მტრობა არ არსებობს, — ერთი მხარეც კმაყოფილია და მეორეც, რადგანაც ფალანსტერში სიმდიდრე ოხრათ არის და ის ყველასა ჰყოფნის!

როგორ და რა საშუალებით შეიძლება ამგვარი წყობილების განხორციელება?

ფურიეს აზრით, ახალ წყობილების განსახორციელებლათ საჭიროა მხოლოთ ერთი მაგალითი, ერთათ ერთი მაგალითი, ერთათ ერთ ფალანსტერის დაარსება. როგორც კი დაარსდება ერთი ფალანსტერი, მისი კეთილდღეობა და უზომო სარგებლობა ყველასათვის, განურჩევლათ ქონებისა, მდგომარეობისა და ჩამომავლობისა იმდენათ ცხადი და თვალსაჩინო იქნება საზოგადოებისათვის, რომ მერე ყველა თვითონ მოისურვებს ფალანსტერების დაარსებას და სულ ცოტა ხანში მთელი დედამიწა ფალანსტერებით დაიფარება. პირველი ფალანსტერი როგორ და რა საშუალებით უნდა დაარსდეს? ერთი ფალანსტერის მოსაწყობათ ფურიეს აზრით საკმარისი იყო ერთი მილიონი. ფურიე ღრმათ დარწმუნებული იყო, რომ რაკი მის თხზულებას წაიკითხავდენ, მთელ საფრანგეთში არა თუ ერთი, უსათუოთ გამოჩდებოდენ რამდენიმე ისეთი მდიდრები, რომლებიც მოვიდოდენ მასთან, დაუყრიდენ წინ ფულს და ეტყოდენ: აჰა, ფურიე, ჩვენი მილიონები და მოაწყვე ფალანსტერიო, ფურიეს კი ერთი მილიონის მეტი არ სჭირდებოდა და გულში ნაკლათ რჩებოდა: ვაი თუ სხვებს გული დაწყდესო! ფურიეს სენსიმონივით სწამდა ადამიანის პატიოსნება და საერთო სამართლიანობა; მან სენსიმონივით ვერ შენიშნა ის გარდუვალი ორმო, ის მტრობა და ინტერესთა სრული სხვა და სხვაობა, რომელიც ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის არსებობს, და დარწმუნებული იყო, რომ კაპიტალისტები თვითონ გამოიღებდენ ხალხის შრომიდან, ხალხის ოფლიდან ხალხის, სისხლიდან და ქვრივობოლთა ცრემლებიდან გამონაწურ მილიონებს საერთო კეთილდღეობისა და ბედნიერების დასამყარებლათ. ფურიემ გამოსცა მოწოდება და შეატყობია მდიდრებს: თორმეტი საათიდან პირველ საათამდე შეიძლება ჩემი ნახვაო. ამ დროს ყოველ დღე ფურიე სახლში იჯდა და ელოდა! აი აგერ შემოაღებს კარს რომელიმე მილიონერი, აი აგერო. თორმეტი წელიწადი ელოდა ფურიე მილიონერებს, შემოსავალი კარები მისი ცქერით დადნა, მაგრამ მილიონერები ყურსაც არ აპარტყუნებდენ. მილიონერები მუშებს არხეინათ ტყავს აძრობდენ, ამ ტყავს ოქროთ აქცევდენ და ჯიბეში იჩხრიალებდენ, ფურიეს კი დასცინოდენ და სულელს უძახდენ! თუ მდიდრებში ფურიეს საცინათ იგდებდენ, სამაგიეროთ ინტელიგენციაში ფურიეს ბევრი თანამგრძნობი გამოუჩნდა; მისი მოძღვრება თანდათან გავრცელდა; გაჩნდა მთელი სკოლა მისი მოძღვრებისა და ამ სკოლამ საფრანგეთში დიდი გავლენა მოიპოვა მეორმოცე წლებში თვით მუშათა შორისაც. თუ სენსიმონის სკოლამ პროლეტარიატზე ვერ იქონია გავლენა, და ის უმთავრესათ ინტელიგენციის მოძღვრებათ დარჩა, ფურიეს სკოლამ აამხედრა მუშები და მისი ზეგავლენით აჯანყებულმა პროლ. ორმოც-და რვა წლის რევოლუციის დროს თამამათ მოსთხვა დროებით მთავრობას შრომის უზრუნველყოფა. დროებითი მთავრობა იმდენათ შეშინდა, რომ მალე დააარსა ეროვნული სახელოსნოები, სადაც ყოველი მუშა შოულობდა სამუშაოს და ამით თავსადა ოჯახს ინახავდა, მაგრამ გაძლიერდა თუ არა მთავრობა, ეს სახელოსნოები მაშინათვე მოსპო, მუშები ულუკმა პუროთ დაჰყარა და როდესაც ისინი აჯანყდენ წართმეული უფლების აღსადგენათ, პარიზის ქუჩები მთავრობამ მათის სისხლით შეღება. ეს აგრე ხდება. როცა რომელიმე მთავრობა სუსტია, ტყუილებით, სიცრუვით, ფლიდობით და დაპირებით იგერებს ხალხს; ხოლო როცა მოღონიერდება, თავის სიტყვა უკანვე მიაქვს, როსკიპი ქალივით, და მოტყუებულ ხალხს საღრჩობელათი, ხიშტებით და ტყვია-წამლით უმასპინძლდება. ასე აღარ ხდება მაშინ, როცა მმართველობის უფლებასა და ძალას თვითონ ხალხი იგდებს თავის საკუთარ ხელში. ორმოცდა რვა წლის რევოლუციის შემდეგ ფურიეს მოძღვრებამ თან და თან დაჰკარგა თავისი გავლენა.

თუ გავითვალისწინებთ ფურიეს მოძღვრებას, დავრწმუნდებით, რომ კაცობრიობის კეთილდღეობისათვის მას საჭიროთ მიაჩნია:

1. კერძო საკუთრების გაუქმება საწარმოვო საშუალებებზე.

2. შრომის უზრუნველ ყოფა ანუ შრომის უფლება.

3. საზოგადო მსხვილი წარმოება ფალანსტერებში.

ფურიე, როგორც დავინახეთ, კერძო ბურჟუაზიულ წარმოებას სპობს, მაგრამ ბურჟუაზიას კაპიტალს უტო-

ვებს, ის სარგებელს იღებს ფალანსტერებიდან და ამგვარათ ბურჟუაზიაც კმაყოფილია და პროლეტარიატიც. მათს შეთანხმებას და მორიგებას ფალანსტერების საშუალებით აპირობს ფურიე. ამგვარივე უნიადაგო იმედებით იყო გამსჭვალული ლუიბლანი.

ფურიემ საუცხოვოთ გამოიკვლია მსხვილი წარმოების ყოველგვარი ღირსება და უპირატესობა წვრილ წარმოებასთან შედარებით. მან პირველმა დაამტკიცა და გამოაცხადა, რომ ახალი მომავალი წყობილება უსათუოთ მსხვილ წარმოებაზე უნდა იყოს დამყარებული.

(შემდეგი იქნება)

**ივ. გომართელი.**

ნუ, ნუ ფართხალებ, დამშვიდდი,
ერთო იმედო დედისა,
ფიქრო, ოცნებავ, ალერსო,
გამქარვებელო სევდისა.

—

ნანა, ნანინა, სასოო,
იძინე მტრედო გულისა,
ვიდრე არ 'გესმის ხრიალი
ბრძოლაში მოქანცულისა.

—

როს დავაჟ-კაცდე და გესმას
გმირთა ძახილი მტერზედა,



ბუნების მესაიდუმლენი.

# ნ ა ნ ა.

—

ნანა, ნანინა, ბიჭიკო,
გამხარებელო გულისა,
დედის და ქვეყნის ნუგეშო,
ჩამყუჩებელო წყლულისა.

—

გამიციმციმე თვალები,
ვარსკვლავო სიხარულისა,
მინათლე ბნელი ცხოვრება
აღმშფოთებელი სულისა.

—

იავნანინა, პატარავ,
ნაყოფო ჭირ - ნახულისავ,
იზარდე ნორჩო ყვავილო
მშობლიურ - სიყვარულისავ.

—

იქ გაჩნდი... არროს უმტყუნო
შენს მოძმეს ბრძოლის ველზედა.

—

ჯერ კი იძინე! ნანინა,
ვარდო უშლელო გულისა,
ყურ-ცქვიტო, შავო მერცხალო,
მორბედო გაზაფხულისა.

—

ოხ, გამეზარდე, სიცოცხლევ,
იყავი რისხვა მეხისა
და შური აგე ვინც რომ არს
მოსისხლე მტერი გლეხისა.

—

მანამდის ერთი შევებრძვი
ამ ჩვენს შავ-ბედის წერასა,
ნუ შიშობ... დედას ნაწამებს
ვეღარ დააკვლენ ვერასა.

—

ისმენდე შვილო! ცრემლის ღვრით
ჩემს ნანას, მწარ სიმღერასა,

ღრმად ჩაინერგე გულში, თუ
როგორ გვიკლებენ გერსა.

—

ნანინა გვრიტო ღუღუნავ,
გაიცინ, გაიხარეო
და მით შენს დასჯილ მშობელსა
აშორე სიმწუხარეო.

**გ. ქუჩიშვილი.**

---

## MATERIALISMUS MILITANS*)

## I.

### პასუხათ ბ-ნ ბოგდანოვს.

(წერილი მეორე)

„Tu l'a voulu,
George Dandin!“.

(„რაც მოგივა, დავითაო, ყველა შენი თავითაო“).

---

მ. ხ. ეს ჩემი წერილი თქვენდამო ბუნებრივათ განიყოფება ორ ნაწილათ. პირველათ, მე ჩემ თავს მოვალეთ ვთვლი პასუხი გავცე იმ „კრიტიკულ“ შენიშვნებზე, რომელიც წამოყენებულია თქვენ მიერ „ჩემი“ მატერიალიზმის წინააღმდეგ. მეორეთ, მე მინდა ვისარგებლო ჩემი უფლებით, გადავიდე სატევ ტაქტიკაზე და განვიხილო საფუძველნი იმ „ფილოსოფიისა“, რომლის სახელითაც თქვენ ილაშქრებთ ჩემს წინააღმდეგ და რომლის საშუალებითაც თქვენ გინდოდათ „შეგევსოთ“ მარქსი, ე. ი. განვიხილო საფუძველნი მახის ფილოსოფიისა. ვიცი, რომ პირველი ნაწილი არა ერთ მკითხველს მოაწყენს საკმაოთ, მაგრამ მე იძულებული ვარ კვალ და კვალ გამოგყვეთ და თუ თქვენს კრიტიკულ ბაღჩაში ეს ჩვენი ერთად სეირნობა ნაკლებათ იქნება სასიამოვნო, ამისთვის მე არ უნდა დამემდურონ, არამედ იმას, ვინც ეს ბაღჩა გაჰკვალა და გააშენა.

თქვენ აკრიტიკებთ „ჩემს“ განმარტებას მატერიისას, რასაც თქვენ იღებთ ჩემი წიგნის „Критико нашихъ критиковъ“-ის შემდეგ სტრიქონებიდან:

„წინააღმდეგ „სულისა“, „მატერიას“ უწოდებენ იმას, რაც, მოქმედობს-რა ჩვენს მგრძნობელობით ორგანოებზე, იწვევს ჩვენში ამა თუ იმ გრძნობას. რაღა მოქმედობს ჩვენს მგრძნობელობით ორგანოებზე? ამ საკითხზე მე, კანტთან ერთად, ვუპასუხებ: ნივთი თავისად. მაშასადამე, მატერია სხვა არა არის რა, თუ არ „ნივთთა თავისად“ გროვა, რამდენადაც ეს ნივთები არიან წყარო ჩვენის გრძნობებისა.

ეს სტრიქონები თქვენ მხიარულ გუნებაზე გაყენებთ.

„ამრიგათ, — იცინით თქვენ, — „მატერია“ (ანუ „ბუნება“, როგორც ანტიტეზი „სულისა“) განიმარტება „ნივთების თავისად“ საშუალებით და მათი თვისემგრძნობლობისს ორგანოებზე“. მაგრამ რა არის ეს „ნივთები თავისად“? ის, რაც, „მოქმედობს — რა ჩვენს მგრძნობელობითს ორგანოებზე, იწვევს ჩვენში გრძნობებს“. მორჩა და გათავდა. სხვაგვარ განმარტებას თქვენ ამხ. ბელტოვს ვერ უპოვიათ, თუ მხნდველობაში არ მივიღებთ, ალბათ, ნაგულისხმევ უარყოფითი დახასიათებს: არა „გრძნობები“, არა „მოვლენანი“, არა ცდა*)“.

მოითმინეთ, მ ხ., ნუ გავიწყდებათ, რომ rira bien qui rira le dernier (კარგათ იცინის ის, ვინც უკანასკნელი იცინის).

მე მატერიას სრულიადაც არა ვმარტავ „ნივთების თავისად“ საშუალებით, მე მხოლოდ ვამტკიცებ, რომ ყველა „ნივთები თავისად“ მატერიალურია. ნივთების მატერიალობათ მე ვგულისხმობ, — და აქ თძვენ მართალს ამბობთ, — მათს თვისებას პირდაპირ ანუ არა პირდაპირ მოქმედებდენ ჩვენს მგრძნობელობაზე და იწვევდენ ჩვენში ამა თუ იმ გრძნობებს. ჩემი კამათის დროს კანტიანელებთან მე საკმაოთ მიმაჩნდა მხოლოდ მიმეთითებინა ნივთების ამ თვისებაზე, რადგან მის არსებობას კანტი არამც თუ საკამათოდ არ სთვლიდა, კატეგორიულათ აღიარებდა „Критика чистаго разума“-ს პირველსავე გვერდზე. მაგრამ კანტი ბოლოს ვერ ატანდა. იგი დასახელებულ წიგნის პირველსავე გვერდზე თუმცა აღიარებს, რომ „ნივთები თავისად“ არიან წყარო ჩვნის გრძნობებისა, მაგრამ იმავე დროს იგი აშკარათ მიდრეკილი იყო ეს ნივთები მიეჩნია რაღაც არა მატერიალურ რამეთ, ე. ი. მიუწდომელათ ჩვენის მგძრძნობლობისათვის. ეს მიდრეკილება, რამაც იგი თავის თათვან წინააღმდეგობამდე მიიყვანა, განსკუთრებით აშკარა გახდა იმის თხზულებაში „Критика практическаго разума“. რაკი მას ეს მიდრეკილება ჰქონდა, მე მის მოწაფეებთან კამათის დროს, რა თქმა უნდა, დაჟინებით ხაზი უნდა გამესვა, რომ, კანტისავე აღსარებით, „ნივთები თავისად“ არიან წყარო ჩვენის გრძნობებისა, ე ი. მათ მოეპოვებათ მატერიალობის ნიშანდობლივობა. ამ დაჟინებით, მე ვამჟღავნებდი კანტის უერთიანობას და ვუჩვენებდი მის მოწაფეებს ლოღიკურ აუცილებლობას აერჩიათ ერთი როელიმე იმ ორ შეურიგებელ ელლემენტში, რომელთა წინააღმდეგობიდან გამოსასვლელი მათმა მასწავლებელმა ვერ იქნა და ვერ იპოვა. მე ვეუბნებოდი, რომ მათ არ შეუძლიანთ კანტის დუალიზმში დარჩენა, რომ უნდა მიემხრენ ან სუბიექტიურ იდეალიზმს და ან მატერიალიზმს. რაკი ჩვენმა კამათმა ასეთი ხასიათი მიიღო, სასარგებლოთ დავინახე აღმენიშნა ის უმთავრესი და ნიშნობლივი მხარე, რითაც სუბიექტიური იდეალიზმი განსხვავდება მატერიალიზმისაგან და რაიც მდგომარეობს იმაში, რომ სუბიექტიური იდეალიზმი უარჰყოფს ნივთთა მატერია-

---

*) იხ. „იალქანი“ №№ 1, 2 და 3.

*) Эмпиріомнизмъ Кн. III, С. П. Б. 1906 г.; стр. XIII.

ბით, „გამოიწვიონ გრძნობები, როცა მოქმედებენ ჩვენს ლობას, რასაც აღიარებს მატერიალიზმი*). ეს, ბ. ბოგდანოვო, შეიძლება თქვენც მოგეხსენებოდეთ, თუმცა თქვენ სრულებით არ იცით ფილოსოფიის ისტორია.

აი ასე იყო საქმე. თქვენ კი ვერაფერი ვერ გაარკვიეთ ამაში, — და, როგორც ეტყობა არც შეგეძლოთ გაგერკვიათ, — მაშინვე ჩაებღაუჭეთ სიტყვებს, რომელთა მნიშვნელობა თქვენთვის დარჩა „მიუწვდომელი“, და მომდექით თქვენის იაფი ირონიით. „აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამია“, ბ. ბოგდანოვო!

განვაგრძობ. რადგან თქვენთან კამათის დროს უფრო ხშირათ, ვიდრე კანტიანელებთან კამათში, დამჭირდება ვახსენო ხოლმე უმთავრესი, ნიშნობლივი მხარე, რითაც მატერიალიზმი განსხვავდება სუბიექტიურ იდეალიზმისაგან, ამიტომ ვეცდები განვიმარტოთ ეს მხარე, იმედი მაქვს, საკმაოდ სარწმუნო ციტატების შემწეობით.

თავის თხუზულებაში „Of the Principles of Human Knowledge“ სახელოვანი სუბიექტიური იდეალისტი (და ანგლიკანთა ეპისკოპოსი) ჯორჯ ბერკლეი სწერს: „ადამიანთა შორის საკვირველად სჭარბობს ის რწმენა, რომ სახლებს, მთებს, მდინარეებს, ერთი სიტყვით, ყველა საგნებს, რომელნიც მოქმედებენ ჩვენს მგრძნობელობაზე (all sensible objects) აქვთ თვისება ნამდვილ, რეალურ (natural or real) არსებობისა, რაიც განსხვავებულია მათის, გონებაში აღბექდილ, სახეებიდან. (Being percieved by the understanding“,**) მაგრამ ეს რწმენა დაფუძნებულია აშკარა წინააღმდეგობაზე, „რადგან,—განაგრძობს ბერკლეი,—რა არის ზემოხსენებული საგნები თუ არ ის ნივთები, რასაც ღებულობენ ჩვენი მგრძნობელობითი ორგანოები? და რა შეგვიძლიან მივიღოთ ხოლმე, თუ არ ჩვენი საკუთარი შთაბექდილებანი, ანუ გრძნობები (ideas or sensations)***). ფერს, ფიგურას, მოძრაობას, მანძილს და ამგვარებს ჩვენ სავსებით ვიცნობთ როგორც ჩვენს გრძნობებს. წინააღმდეგობათა ქსელში გავიხლართებოდით, ჩვენ რომ ისინი გონების გარეშე მყოფ ნივთთა ნიშნებათ ან სახეებათ ჩაგვეთვალა“. ****)

სუბიექტიურ იდეალისტების წინააღმდეგ ფეიერბახი გვამცნებს: დამტკიცება იმისი, რომ რამე რამე, ნიშნავს იმის დამტკიცებას, რომ ეს რამე არსებობს არა მარტო გონებაში. (nicht nur gedachtes ist)*).

სწორეთ ასევე ენგელსიც, როდესაც ეკამათებოდა დიურინგს და თავის შეხედულებას უპირდაპირებდა იდეალისტურ შეხედულებას ქვეყნიერებაზე, როგორც წარმოდგენაზე, აცხადებდა, რომ ქვეყნიერობის ნამდვილი ერთიანობა მდგომარეობას მის მატერიალობაში (bestehet in ihrer Materialität)**).

განა ამის შემდეგ კიდევ საჭირო არის იმის განმარტება, თუ ჩვენ, მატერიალისტები, რას ვიგულისხმებთ საგნების მატერიალობად? ყოველ შემთხვევისათვის მაინც განვმარტავ.

მატერიალურ საგნებს (სხეულთ) ვუწოდებთ ისეთ საგნებს, რომელნიც არსებობენ ჩვენი შეგნების დამოუკიდებლათ და, მოქმედებენ — რა ჩვენს მგრძნობლობითი ორგანოებზე, იწვევენ ჩვენში ამა თუ იმ გრძნობებს, რაიც თავის მხრივ საფუძვლად ედებიან ჩვენ წარმოდგენათ გარეშე ქვეყნიერობაზე, ე. ი. იმავ მატერიალურ საგნებზე, და აგრეთვე მათს ურთიერთ შორის დამოკიდებულებაზე.

ეს, მგონია, საკმაოა. ვიტყვი კიდევ მხოლოდ აი რას: იმ საკითხის შესახებ, რაც ჩვენ აქ გვეინტერესება, მახი, რომლის ფილოსოფიასაც თქვენ, ბ. ხ., სთვლით მე-XX-ე საუკუნის ბუნების მეტყველების „ფილოსოფიად“, სავსებით სდგას მე-XVIII ს. იდეალისტის ბერკლეის თვალთახედვის წერტილზე. იგი თავის შეხედულობას თითქმის ისევე ჰხატავს, როგორც ეს ღირსეული ეპისკოპოსი. „სხეულნი კი არ იწვევენ გრძნობებს, — ამბობს იგი, — არამედ ელემენტთა კომპლექტები (გრძნობათა კომპლექსები შეადგენენ) სხეულთ. თუ ფიზიკოსს სხეულნი ეჩვენებიან რაღაც მუდმივ რეალურ რამედ და „ელემენტები“-კი — მათ წუთიერ წარმავალ ლანდათ, იგი ვერ ამჩნევს, რომ ყველა „სხეულნი“ ელემენტთა კომფლექსებისათვის (გრძნობათა კომფლექსებისათვის) არიან მხოლოდ ლოღიკური სიმბოლოები“ ***).

თქვენ, ბ. ბოგდანოვო, რასაკვირველია, კარგათ მოგეხსენებათ, თუ სახელდობრ რას ამბობს ამ საგანზე თქვენი მასწავლებელი. მაგრამ თქვენ, როგორც ცხადათა სჩანს, სრულებით არ მოგეხსენებათ, თუ რას ამბობს იმავე საგანზე ბერკლეი. თქვენ ჰგევხართ მოლიერის ჟურდანს, რომელსაც ძალიან დიდხანს ეჭვიც არ შეჰპარვია, თუ იგი პროზით ლაპარაკობდა. თქვენ შეგითვისებიათ მახის შეხედულობა მატერიაზე, მაგრამ თქვენის გულუბრყვილობის გამო

---

*) არც რასაკვირველია, აბსოლიუტური იდეალიზმი სცნობს მატერიალისტურ შეხედულებას მატერიაზე, მაგრამ მისი შეხედულება მატერიაზე, როგორც სულის ,,სხვა მყოფელობაზე'', ჩვენ აქ არ გვაინტერესებს, როგორც არ მაინტერესებდა ნეოკანტიანელებთან ჩემის კამათის დროს.

**) The Works of George Berkeley, D. D. for merly bischop Cloyn Oxford MDCCCLXXI, Vol. I p. 157—158.

***) იქვე, იგივე გვ.

****) იქვე გვ. 200.

*) Feuerdach's Werke, t. II, s. 308. შეიძლება მკითხონ: განა **არ არის** ის, რაც არის მხოლოდ გონებაში?—მე ოდნავ შევცვლიდი ჰეგელის თქმულებას და ვუპასუხებდი: ის არის და არსებობს, როგორც **ლანდი (ხატი) რეალურ არსებობისა.**

**) Eugen Düring's Umwalgung der Wissenschaft, V-te Auflage, s. 31.

***) Анализъ Ощущеній, переводъ г. Котляра, изд. Скирмунга.

ექვიც კი არ შეგპარვიათ, თუ ეს იდეალისტური შეხედულებაა. სწორეთ ამიტომაც, გაგაკვირვათ იმ განმარტებამ, რომელიც მე მივეცი მატერიას; სწორეთ ამიტომაც ვერ მიხვდით რატომ დამჭირდა ნეოკანტიანელებთან კამათში დაჟინებით მიმეთითებინა „ნივთთა თავისად“ მატერიალობაზედ. სასაცილო მუსიო ჟურდანი! საბრალო ბ-ნი ბოგდანოვი!

თქვენ რომ ოდნავ მაინც გცოდნოდათ ფილოსოფიის ისტორია, კარგათ გეცოდინებოდათ, რომ მატერიის განმარტება, რამაც თქვენ ასე გაგამხიარულათ, ჩემს კერძო საკუთრებას კი არ შეადგენს, არამედ იგი საერთო კუთვნილებაა ძალიან ბევრ მოაზროვნეთა, როგორც მატერიალისტურ, ისე თვით იდეალისტურ ბანაკში. ასე მაგ. მე-XVIII-ე საუკუნეში ამ შეხედულებას ადგნენ მატერიალისტები ჰოლბახი და ჯოზეფ პრისტლეი[1]) და ამ — შეიძლება ითქვას—სულ ცოტა ხანში იდეალისტმა (მხოლოდ არა სუბიექტიურმა) ე. ნივილმა, საფრანგეთის აკადემიის წინაშე წაკითხულ თავის მემუარში, საკითხზე, თუ რა არის მატერია, უპასუხა: C'est ce quizse révèle á nes sons (ის, რაც ემჟღავნების ჩვენ მგრძნობელობას[2]). აქედან თქვენ ჰხედავთ, მ. ხ., რამდენათ გავრცელებულია „ჩემი“ განმარტება მატერიისა. მაგრამ ის კი არ იფიქროთ, ვითომ რაკი ამის გავრცელებაზე მიგითითებთ, ამით მინდოდეს, თავიდან ავიცდინო და სხვისკენ მივმართო თქვენი „კრიტიკული“ ლახტები. სრულებითაც არა! მე თვითონაც შევიძლებ მათ მოგერებას. და ამისათვის არც არის საჭირო დიდი გამბედაობა და ხერხიანობა: თქვენ მიერ მოქნეული ლახტები ძალიან სუსტია და უხერხული, ამიტომ სულაც არ არის საშიში.

# დილა

—:—

შუქმ გათენდა. მთა-ველ-მინდორმა
გადაიხადა ჭმუნვის სუდარა,
თექა აშალა და თავის ბგერით
ჭოტის კივილი მსწრაფლ მიამგვდარა.

—

მედიდურ მზემან ცის კიდურიდან
გადმოაფრქვია არეს სხივები,
აოსნაარათ შეაფერადა
მდელო, ზამთრისგან განაცივები.

—

ცელქი ნაკადი მოსკდა კიდესა,
კისკისით იწყო ველისკენ დენა,
ბუკლუც ჩიავმა ნაზის ქროლით
ნაკადს სირბილი უხვათ უშველა.

—

აქ გაიშალა ტურფა ნარგიზი,
იქ გადიფურჩქნა მაისის ვარდი;
შვებით აღსავსე ჩიტრაებმა
ლაჟვარდ სივრცეში იწყეს ნავარდი.

—

სიცოცხლის მაჯამ დაიწყო ძგერა,
აამოძრავა ბუნების ძალა,
ტკბილ-ჰარმონია ირგვლივ გამეფდა
და ნეტარებამ ფრთები გაშალა.

—

ფრინველთ მეფემაც საგათენებო
ჩაარაკრაკა თვისი ჩანგები,
სატრფო ქვეყანას კრძალვით უმღერა
ნანა სინაზის ისარ ნაგები.

—

მოკლული გული გამიცხოველდა,
აღმეგზნო გრძნობა, გაცოცხლდა რწმენა,
ჰაეროვანი ფრთით შევიმოსე
და მსწრაფლ გავქროლე ოცნებისკენა.

—

მაგრამ... ვაი რომ მეტათ ხან-მოკლე
აღმოჩნდა ჟამი ტრფობის აღმძვრელი:
აღიძრა ქარი მძლავრ-ბობოქარი
და მთანთქა სიო, ჭირთ უკუ-მრელი,

—

ციაგსა ცაზე მსწრაფათ დარაზმა
შესაზარელი შავი ღრუბლები
და უკუ აგდო მედიდურ ცისა
ალმას-კრიალა ისარ-სხივები.

—

შეკრთნენ ფრინველნი, შეკრთა მიდამო,
შესწყვიტეს მღერა, ტკბილ ჰარმონია,
გლოვის ბურუსში გამოეხვია
რამაც ერთ წუთით დამიმონია.

—

ირგვლივ გამეფდა მკვდრული სიჩუმე,
ცრემლათ შთაინთქა ტურფა ბუნება
და მეც კვლავ სევდა შემომწოლია,
ოცნება აღარ მესალმუნება.

**დ. თურდოსპირელი.**

# შინაური ამბები.

—:—

✦ ამ დღეებში წერა კითხვის საზოგადოების მთავარმა გამგეობამ აცნობა ბათუმისა, სენაკისა, სამტრედიისა, ხონისა, ქუთაისისა, ზესტაფონისა, ჭიათურისა, კავკავისა და ბაქოს განყოფილებათა გამგეობებს, რომ

[1]) ამ უკანასკნელის აზრით, მატერია არის object of any of our senses, ე. ი. საგანი, რომელიც მოქმედებს რომელსამე ჩვენ მგრძნობელობის ორგანოზე (Disquisitions გვერდი 142).

[2]) La Matiére. Memoire piesenté à l'institut de France etc, p. 5. ეს მემუარი წაკითხულ იქმნა 1908 წ. აპრილში.

სათანადო მთავრობას უკვე ეცნობა განყოფილებათა დაარსების ამბავი და შეუდექით მოქმედებასაო. სხვაგანაც ფიქრობენ განყოფილებათა დაარსებას, მაგალითად —ახალციხეში, გორში, ცხინვალში, დუშეთში, თელავში, თიანეთში და სიღნაღში.

✦ მიხეილ სვიმონის ძე ზედგინიძემ შესწირა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ძვირფასი არქეოლოგიური და ნუმიზმატიური კოლექცია. არქეოლოგიურს ნივთებში შესანიშნავია კავკასიაში ძნელად საპოვნელი ქვის იარაღი: კვერი და საუცხოოდ ნახელოვნები ცული; ამას გარდა ბრინჯაოს სამკლავეები, თიხის ჭურჭელი და სპილენძისა და რკინის იარაღი. ნუმიზმატიურს კოლექციაში არის 79 ვერცხლის ფული და 80 სპილენძისა სხვა და სხვა დროისა: კოლხიდური, რომაული, ბიზანტიური, არშაკიდური, სასანიდური, მუსულმანური, რუსული, ევროპიული და ქართული—თამარ მეფისა, რუსუდანისა, ბაქარისა, ერეკლე მეორისა, გიორგი მეთორმეტისა და მე-19 საუკუნის დასაწყისისა.

✦ მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 1 აპრილამდე ილია ჭავჭავაძის ფონდის სასარგებლოდ წერა-კითხვის საზოგადოების მთავარმა გამგეობამ მიიღო 886 მან. 24 კაპ. სულ ილიას ფონდში არის 13,821 მან. 43 კაპ.

✦ ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოთ სეირნობასა და ლატარიას გამართავენ 3 მაისს მუშტაიდის ბაღში. ლატარიაში ყველა ბილეთი მომგებიანი იქნება. გამგეობა ცდილობს განსაკუთრებულად კარგად მოაწყოს წელს სეირნობის საქმე.

✦ **ქუთაისი.** აქ გარდაიცვალა თავის ამხანაგებსა და საზოგადოებაში კარგათ ცნობილი, ოდესის უნივერსიტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი გრ. პ. წულეისკირი. განსვენებულისაგან ბევრს კარგს მოელოდენ, მისი სიკვდილით გულ-დაწყვეტილი ამხანაგები და ის ღრმა პატივისცემა, რომელიც მას დაემსახურებია თავისი სამაგალითო ქცევით, დაადასტურა მისმა დაკრძალვამ, რომელსაც 15,000 კაცამდის დაესწრო; 15 გვირგვინით შეამკეს მისი ცხედარი მუშებმა, მოსწავლე ახალ გაზრდობამ და დაწესებულებათა; რამდენიმე გრძნობით აღსავსე სიტყვები წარმოითქვა მის საფლავთან და პროცესია საღამოს 7 საათზე დაიშალა. ის ცნობილი იყო, როგორც კარგი რეფერენტი და იდეურ მოწინააღმდეგეს მოკამათე.

✦ ქართულ გიმნაზიაში წელს ეგზამენზე მიდის მხოლოდ 35 ყმაწვილი, რომელთაც სიმწიფის მოწმობს ოლქის სამზრუნველოდან დანიშნულ დეპუტატის თანადასწრებით უნდა მიიღონ.

✦ ამას წინათ დააპატიმრეს და ადგილობრივ საგუბერნო ციხეში ჩასვეს სტუდენტები ან. კიკნაძე და მიხ. ჩხეიძე.

✦ ადგილობრივ შესდგა დრამატიული საზოგადოება, რომელიც ზაფხულში გამართავს წარმოდგენებს თფილისელ მსახიობთა დახმარებით.

✦ ქალაქის თვითმართველობამ თვალსაჩინოთ გააკეთა სასეირნო ბაღი, ქუჩები და ზოგი ხიდები.

✦ სოფლებიდან შემოტანილ ხორაგეულობათა ფასმა ერთი ორათ აიწია.

✦ დაბა ახალ-სენაკში, ქ-ნი. მ. დ. ფულარიას თაოსნობით ამ სამოსწავლო წლიდან იხსნება ქალების კერძო 4 კლასიანი პროგიმნაზია. გამოსაცდელი ეგზამენები დაიწყება 15 აგვისტოდან, ხოლო მეცადინობა 1 სექტემბრიდან. იმედია ამ ფრიად სიმპატიურ და სასარგებლო საქმისადმი საზოგადოება ჩვეულებრივ გულ-გრილობას არ გამოიჩენს.

---

# რუსეთის ცხოვრება

—:—

✦ გერცენშტეინის მოკვლის საქმე ფინლიანდიაში ირჩევა. სამოქალაქო მომჩივნის თხოვნის თანახმად, ჩვენება ჩამოართვეს ახალს მოწმეებს და, რადგან ექიმმა დუბროვინმა ორჯერ უარი განაცხადა სასამართლოში გამოცხადებაზე, ამიტომ სასამართლომ დაადგინა პასუხის გებაში მისცეს დუბროვინი, როგორც წამქეზებელი დამნაშავე გერცენშტეინის მკვლელობაში. შემდეგი სხდომა სასამართლოსი 5 მაისს მოხდება.

✦ ნაფიცმა ვექილმა გილერსონმა ბელოსტოკის აკლების პროცესში მიიღო მონაწილეობა: იგი აკლებულ და აწიოკებულ ხალხის დამცველად გამოვიდა სასამართლოში წარმოთქმულ სიტყვისთვის პასუხის გებაში მისცეს გილერსონი. იმისი საქმის გარჩევა დანიშნულია ქალაქ გროდნოში 22 მაისს. გილერსონის საქმის დამცველებად მთელის რუსეთის ნაფიც ვექილთა საბჭოების წარმომადგენელნი გამოვლენ.

✦ საინტერესო ცნობებს გადმოგვცემს გაზ. „რეჩი“ იმის შესახებ, თუ რა სიფრთხილით იქცევა სასჯულო საქმეთა სამინისტრო, რომ ტუსაღები არსად გაიქცენ.

ამ ორი წლის წინად საპყრობილეთა მთავარ-გამგეობას მიუმართავს საექიმო საბჭოსათვის თხოვნით, —შეგვატყობინეთ, შეიძლება თუ არა, რომ სულით ავადმყოფთა საავადმყოფოებში გამოსაცდელად მიყვანილი ტუსაღები ბორკილებით იყვნენო.

ლიბერალურ საავადმყოფოებსა და, განსაკუთრებით, ერობათა საავადმყოფოებს არა ერთხელ უთქვამთ უარი ბორკილებით შეჯაჭვულ ავადმყოფთა მოთავსებაზე. ამიტომ უსიამოვნება ხდებოდა ხოლმე, ციხის მთავრობა თხოულობდა,—საავადმყოფოს ადმინისტრაცია უარს ეუბნებოდა. მიდიოდნენ გუბერნატორთან საჩივლელად, ის გზავნიდა მიწერილობას, მიწერილობა არა სრულდებოდა და გაუთავებელი მიწერ-მოწერა იყო გაბმული.

ციხის მთავრობას ერთად-ერთი გზა-ღა დარჩენოდა: უნდა მიემართნა საექიმო მთავარ გამგეობისათვის,

როგორც ოფიციალურ დაწესებულებისათვის, რომ ინსტრუქციებისა და მიწერილობებით აეძულებინათ ექიმები და საექიმო დაწესებულებანი თავიანთ სურვილის ასასრულებლათ. ციხის მთავრობა დარწმუნებული იყო, რომ საექიმო საბჭო, ვითარცა ბიუროკრატიული დაწესებულება, მიხვდებოდა საპყრობილეთა უწყების ინტერესებს და ხელს შეუწყობდა მას.

მაგრამ ამ საქმეში ძალიან გაუცრუვდა იმედი საპყრობილეთა მთავრობას. საექიმო საბჭომ ეს საკითხი გამოჰყო სხვა საკითხთაგან და გამოსარკვევათ გადასცა განსაკუთრებულ კომისიას, რომელშიაც, სხვათა შორის, მოჰყვნენ ექიმი ვ. მ. ბეხტერევი და საპყრობილეთა მთავარ გამგეობის უფროსის თანაშემწე მ. მ. ბოროვიტინოვი, ცნობილი დამცველი ძლიერის მთავრობისა.

კომისიამ დაასრულა თავისი მუშაობა და საინტერესო პრინციპიალური გადაწყვეტილება გამოიტანა.

კომისიის აზრით, ყოველი ციხეში დაპატიმრებული ჯანმრთელად ითვლება და კანონის თანახმად უნდა ექცეოდენ მას. ხოლო საავადმყოფოში, რაც უნდა იყოს, ყველა იქ მყოფს ავადმყოფად სთვლიან იმ დრომდე, ვიდრე არ დამტკიცდება, რომ იგი კარგად მყოფია.

აქედან კომისიას ის აზრი გამოჰყავს, რომ არავითარის ზომებით არ შეიძლება ავათმყოფთა შევიწროვებათ. ამასთან ბორკილები ცუდათ მოქმედებენ იმათზედაც, ვინც ბორკილებს ატარებენ, და იმათზედაც, ვინც იძულებულნი არიან ერთგვარი, გულის შემზარავი ჟღარუნი ესმოდეთ მმოძრავ ჯაჭვებისათ.

ვნახოთ რას იტყვის ამაზე საპყრობილეთა მთავარი გამგეობა.

✦ **„კანონ-პროექტები კავკასიის შესახებ“ და ტერეზა ემბერის მილიონები.** გაზ. „ოკრაინი როსიის“-ს უკანასკნელ ნომერში მეტათ საინტერესო წერილია მოთავსებული კავკასიის ნამესტნიკის შესახებ. აი წერილიც: „გაუგებარია ის მოტივები, თუ რამ აიძულა გრ. ბობრინსკი განეცხადებია დუმის კათედრიდან ბ. პეტერსონის მიერ გავრცელებული ზღაპარი რაღაც „კავკასიის კანონპროექტების“ შესახებ, რომლებიც ვითომდა უნდა განიხილონ სახ. დუმაში. სად არის ეს პროექტები, ან რათ ინახავენ 4 წლის განმავლობაში საზოგადოებისა და სახ. დუმისაგან საიდუმლოთ? დიდი ხანია დროა გამომჟღავნებულ იქნას ეს ულამაზო ისტორია არ არსებული პროექტებისა, რომელიც შეთხზა ბ. პეტერსონმა იმისთვის, რომ დაერწმუნებია საზოგადოება ნამესტნიკის რეფორმატორულ და კანონმდებლობითი მოღვაწეობაში. მე კატეგორიულათ ვამტკიცებ, რომ კავკასიის პროექტები—ეს თავისებური ტერეზა ემბერის მილიონებია. როცა ბ. პეტერსონის თხელი პორტფელი გაიხსნება ყველას დასანახათ, გამოჩნდება, რომ მასში არაფერი არის გარდა ერთისა—„წერილები კავკასიის მართველობის შესახებ“—რომელმაც ყველას თავი მოაბეზრა და რომელიც შეიცავს ფანტასტიურ სურვილების გროვას“.

✦ **პარტიები სახელმწიფო სათათბიროში.** „ნაშა გაზეტას“ სიტყვით, სახელმწიფო სათათბიროში პარტიები ასე განაწილდებიან:

| | რამდენი წევრი იყო. 1908 წ. | | რამდენი დარჩა. 1909 წ: |
|---|---|---|---|
| მემარჯვენეები . . . . . . . . | 50 | „ | 49 |
| ნაციონალისტები . . . . . . . | 26 | „ | 20 |
| ზომიერი მემარჯვ. . . . . . . . | 70 | „ | 75 |
| ოქტომბრისტები . . . . . . . | 154 | „ | 139 |
| პოლონელები . . . . . . . . | 18 | „ | 17 |
| პროგრესისტები. . . . . . . . | 25 | „ | 36 |
| მაჰმადიანები. . . . . . . . . | 8 | „ | 9 |
| კადეტები . . . . . . . . . | 56 | „ | 53 |
| შრომის ჯგუფი . . . . . . . . | 13 | „ | 15 |
| სოციალ-დემოკრ. . . . . . . . | 20 | „ | 18 |
| უპარტიოები. . . . . . . . . | 8 | „ | „ |

✦ **სასულიერო აკადემიებში.** სინოდს გადაუწყვეტია სასულიერო აკადემიებში მარქსისტულ მოძლვრებასთან საბრძოლველათ განსაკუთრებული კათედრა დაარსოს. ამ კათედრას მომავალ სამოსწავლო წლიდან შემოიღებენ.

# უცხოეთი

## ოსმალეთი.

ოსმალეთში ხალხმა გაიმარჯვა. კონსტიტუციის დაუძინებელ მტრებს ავი დღე გაუთენდათ. აი, რას გადმოგვცემს ოსმალეთის შესახებ დეპეშები.

11 აპრილს ილდიზის ჯარის წინაღმდეგობის შემდეგ დაჰნებდა კომიტეტის ჯარს. ყველა ჰაუფტვახტა ® მთავრობის შენობა, რომელშიაც მოდარაჯე ჯარის-კაცები დგანან, დაზიანებულია ტყვიებისა და ყუმბარებისაგან. მოდარაჯე ჯარის-კაცები უწინააღმდეგოთ დანებდენ კომიტეტის ჯარს. სტამბოლის ქუჩებს ნაკლები სიცოცხლე ეტყობა და უფრო ნაკლებ იცავს ჯარი.

მინისტრთა საბჭო შეიკრიბა დიდ ვეზირის სახლში და შეადგინა ბრძანება საალყო წესების გამოცხადების შესახებ. ეროვნულმა კრებამ სან-სტეფანოში მოიწონა ეს ბძანება. საალყო წესები 12 აპრილს შემოიღეს. 8 საათის შემდეგ ქუჩაში გასვლა აკრძალულია

13 აპრილს დაიწყეს მოქმედება საგანგებო სამხედრო სასამართლოებმა კონტრ-რეოლიციიმ მონაწილეთა დასასჯელად.

მთავრობას მთლად დაეკარგა ძალა. მახმუდ შევკეტ-ფაშა და მისი შტაბი განუსაზღვრელი დიქტატორები არიან ოსმალეთისა. სულთანი ჯერ კიდევ ილდიზში იმყოფება. დიპლომატიურ კორპუსის უფროსმა გერმანიის ელჩმა შეატყობინა საელჩოებს და მისიებს, რომ სტამბოლში შემოღებულია საალყო წესებით.

„კორ. ბიოროს“ ატყობინებენ 12 აპრილის თარიღით: სალონიკის ჯარი გადავიდა სკუტარიში. მხოლოდ თითო-ოროლა ჯარის-კაცი, რეაქციონერებისაგან წაქეზებული, დაეცა ჯარსა ორსავე მხარეს დაჭრილთა და დახოცილთა რიცხვი დიდი არაა. ყველა სავაჭრო დაწესებულება სკუტარიში დაიკეტა. სალონიკის ჯარმა დაიჭირა ქუჩები. დიდი კაზარმა უწინააღმდეგოდ დაიჭირა ჯარმა. იქაურ ჯარის-კაცების უმეტესობა გაიქცა. დანარჩენმა იარაღი ჩააბარა სალონიკის ჯარს.

როგორც ისმის, პრინცებმა და პრინცესებმა 11 აპრილს ღამით მიატოვეს ილდიზი. ილდიზში დარჩენილი მოსამსახურეები იტაცებენ სასახლის ავეჯსა და მორთულობას.—ზოგიერთი აფიცერი ირწმუნება, სულთანი ჯერ კიდევ ილდიზში იმყოფებაო, სხვები-კი ამბობენ, რომ მან უკვე მიატოვა თავის სასახლეო.

ეროვნული კრება ჯარის რაზმის თანხლებით სან-სტეფანოდან სტამბოლში დაბრუნდა. მოახდინენ დახურულ სხდომას.

საალყო წესების გამოცხადების გამო ქუჩები დაცალიერდა; საღამოს რვა საათის შემდეგ ქუჩებში დაგვიანებული გამვლელები-ღა ჩანაენ; მათაც ჯარის-კაცები აცილებენ; 9 საათამდე ქუჩებში აღარავინ ჩანს, ღამით ბევრნი დაატუსაღეს; დატუსაღებულთა შორის არიან რედაქტორები გაზ. „იკდამ“-ისა და „მიზან“-ისა; მრავალი სოფტი დაატუსაღეს. გაზეთები იუწყებიან, რომ სოფტებმა სტამბოლში ფეხტის მედრესაში (სასწავლებელში) იარაღით წინააღმდეგობა გაუწიეს კომიტეტის ჯარსაო. სასწავლებელი დაანგრიეს. სამხედრო კლუბთან სოფტებმა ყუმბარა ესროლეს მიმავალ სამხედრო ყუთს, რომლითაც ზარბაზნის ყუმბარები მიჰქონდათ; ყუთმა იფეთქა. ჯარმა დაიჭირა კლუბი და დახოცა სოფტები, რომლებიც კლუბში იმყოფებოდენ. ყველა დატუსაღებულს სამხედრო საველე სასამართლოში აძლევენ.

ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტი ყველა გაზეთში ამტკიცებს, რომ იგი სულაც არ უწევს ხელმძღვანელობას ჯარსა და არავის პირად შურისძიებას არ ცდილობს; იგი ირწმუნება, რომ ჯარი ხალხის ნებას ასრულებს და სრულიათ დამოუკიდებლად მოქმედებს, ხოლო კომიტეტი ცდილობს მარტო კანონიერების აღდგენას და კონსტიტუციის წინააღმდეგ შეთქმულების დასჯასო.

დილის 10 საათზე დაიწყო ეროვნულ კრების სხდომა ხალხის დაუსწრებლად. პარლამენტის შენობაში პრესის წარმომადგენელნი არ შეუშვეს. როგორც ისმის, კრება იხილავს რამდენისამე სენატორის და დეპუტატის წინადადებას სულთნის ტახტიდან ჩამოგდების შესახებ. ილდიზს მიაყენეს ბევრი ჯარი ზარბაზნებით. სტამბოლში განახლდა ჩვეულებრივი ცხოვრება, მაგრამ ქუჩებში მაინც ნაკლები სიცოცხლეა, ყველგან პატრულები ჩანან.

„კორ.-ბიუროს“ ატყობინებენ სტამბოლიდან: როგორც მთავრობის უმაღლესი პირნი იუწყებიან, ილდიზის დაჭერა სალონიკის ჯარს უმთავრესად იმისთვის უნდა, რომ იქაური სამხედრო საწყობები და დაწესებულებანი ჩაიგდოს ხელში.

—

### სპარსეთი.

რუსეთის ჯარი სპარსეთს მივიდა. ენჯუმენი შეშინდა უცხოელების საქმეში ჩარევით და შაჰს დეპეშა გაუგზავნა. შაჰმა უბრძანა 12 აპრილს ეინუდ-დოვლეს, ნება მიეცით თავრიზში სურსათის შეტანისაო. ადგილობრივ მკვიდრთა შორის ბევრ გვარი მითქმა-მოთქმაა რუსის ჯარის სპარსეთში შესვლის შესახებ.

ბაღეშაჰში ყოველ-დღე თათბირი აქვთ მინისტრებს. პროგრესისტები იმარჯვებენ.

რუსეთის ჯარი უკვე შევიდა სპარსეთში და ერთხელ კიდეც შეტაკებია შახის ცარებს. სპარსელები გადაჭრით აცხადებენ, რომ კაზაკებს წინ არ გაუშვებენ, ერთი რუსი კაზაკი ტყვეთ წაიყვანეს, მაგრამ ისევ გაანთავისუფლეს.

„ბაქოს“ კორესპონდენტს, დიდი ცდა-მეცადინეობის შემდეგ, ძლივს უნახავს სპარსეთის ს.-დ. რევოლუციონურ პარტის „მუჯახიდ“-ის ერთ-ერთი გამოჩენილი წევრი; კაცი ევროპიულათ განათლებული, ლაპარაკობს დაფიქრებულათ და კარგ შთაბეჭდილებას ახდენს. პირველ შეკითხვაზე, თუ რამდენი კაციდან შედგება თეირანზე მიმავალი ჯარი, მას უპასუხნია; უკაცრავათ, მარა ეს პარტიული საიდუმლოებაა და ვერაფერს გეტყვით. თუ რატომ აგვიანებენ თეირანზე გალაშქრებას, ამაზე უპასუხია ვუცდით ყველა კუთხეებიდან რაზმებს, სხვათა შორის თავრიზიდანაც და მაშინ ძალიან მალე მოვათავებთ თეირანის საქმეებსო. თან დაუმატებია: ჩვენ სულ არ შეგვიშლის ხელს რუსეთ-ინგლისის ჯარები, რადგან მათ არ შეუძლიათ მოიქცენ თავის სურვილებისამებრ, რადგან სპარსეთის საქმეებში დაინტერესებულია ყველა სხვა სახელმწიფოები და ისინი ნებას არ მისცემენ რუსეთს, რომ თავის ქეიფისამებრ ინავარდოს სპარსეთშიო.

# პროვინცია

—:—

### ძველი გავაზი (თელავის მაზრა).

ჩვენი საზოგადოება დაახლოვებით 900 კომლ. შედგება. საზოგადოთ, როგორც მთელი კახეთის მცხოვრებლები, ისე ჩვენი სოფელიც მხოლოთ ღვინის და პურის მოყვანით ცხოვრობს; დანარჩენი მას საბაზრო არა გააჩნიარა. ჩვენ სოფელს არც ამაში სწყალობს ბედი. ამის მიზეზები ბევრია, მხოლოთ უმთავრეს როდს ორი გარემოება თამაშობს. პირველი მიზეზი უგზობაა, რადგან როგორც თელავს, ისე სიღნახსაც მოწყვეტილია და მათი ღვინოები მხოლოთ მაშინ გაიყიდება, როცა დანარჩენ სოფლებში გამოილევა ხოლმე. ამ შემთხვევაშიაც სარგებლობს მას არაფერი რჩება, რადგან ხშირათ წამლის ფულსაც ვეღარ აუ-

ი 208 / 1909 / 2

ნებს. ამ გარემოებამ უკვე დაასვა ამ სოფელს თავის ბეჭედი, რასაც ნათლად მოწმობს მწუხარებით გამეურე ქოხები.

მეორე მიზეზი სწორედ ის არის, რომ ამ სოფელს ამაყურათ დაჰყურებს მუდამ თოვლით გადალესილი კავკასიონის მწვერვალი. აი, ამის მეოხებით ხშირათ განადგურებულა დასაკრეფი ყურძენი, მოსამკელი ყანა და სხ.

მართლაც, იმ დროს, როდესაც დანარჩენ სოფლებში მშვენიერი ამინდია, აქ სეტყვის გრიალი თავზარს სცემს ყველას. ამ გარემოებამ აიძულა აქაური გლეხ-კაცობა მოეწყოთ ისეთი დაწესებულება, რომელიც მათ ცოტათი მაინც შეუმსუბუქებდა შიმშილის იარებს.

მართლაც, შეიმუშავეს წესდება, რისი ძალითაც მოსავლიან წელს კომლს უნდა გადაედვა რამდენიმე ლიტრა (10 გირ.) პური. ასე ყოველ წელს უმატებდენ და ბოლოს 500 კოდამდეც კი ავიდა მოგროვილ პურის რაოდენობა, ბევრჯელ გადურჩენია ამ დაწესებულებას აქაური მცხოვრებნი შიმშილის აჩრდილისაგან.

მაგრამ სამწუხაროდ ის არის, რომ ყოველ გაუნათლებელ ხალხში ასეთი დიდ მნიშვნელოვანი დაწესებულება ნორჩივე კვდება. კვდება იმიტომ, რომ თითო ოროლა პარაზიტები გინდ ალმა წაიყვანს ბნელ ხალხს და გინდ დალმა. მართლაც აქ კაი ხანია ერთი ჯგუფი ფრთა გაშლილი მიმოქროლავს მთელ მცხოვრებლების ზურგზე. ეს გაფაბატონები არავითარ სამარცხვინო მოქმედებას არ ერიდებიან: დაბეზღება, ორი გროშისთვის სულის ამოძრობა, ქურდობა და ავაზაკობა, აი მათი დამახასიათებელი თვისებანი. ამავ ჯგუფმა ჩაიგდო ხელში ეს დაწესებულება და კიდეც დაასამარა. ფულით კი თავიანთი ყელი ჩაიტკბარუნეს.

ამ ჯგუფის მამოძრავებელი ძალა ეს სოფლის სამართველოს გმირებია (მწერალ-მამასახლის-გზირები), მაგრამ ნათქვამია: „კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანს“-ო და ასე დაემართა მათაც. ამ წინაზე გაცარცვეს დუქნები და ჩხრეკის დროს მოპარული ნივთები თვით მწერლის და გზირის ოჯახში აღმოჩნდა. ვინც მათ წინათ ყოველთვის ხელს აფარებდა, ახლა ველარ შესძლო ეს და დამნაშავეები დაიჭირეს. ამ ხანათ მწერალი—საბა დავითაშვილი და გზირი ნ. ზარდიაშვილი შვილებით ციხეში იმყოფებიან. ჯგუფი იშლება და მთელ მცხოვრებლების სიხარულს საზღვარი არ აქვს. თვალ სჩინოთ იგლო ქურდ-ბაცაცობამ.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ისიც, რომ ეს სოფელი სრულებით არ ზრუნავს არავითარ კულტურულ დაწესებულებაზე. ერთი სამკითხველო გააჩნდათ და მასწავლებლის გადაყვანისთანავე მიაკეტეს. ის ვაი-ვაგლახით შეძენილი წიგნები, რომლითაც ამაყობაც კი შეეძლო ამ ბიბლიოთეკას, დღეს თაგვების საბუნაგოთ გამხდარა.

მართალია, ძველი მასწავლებლის ადგილზე მეორე მასწავლებელი უკვე დიდი ხანია მოვიდა, მაგრამ სამკითხველო მას, ეტყობა, არაფრათ აინტერესებს. ზაფხული ახლოვდება, მოსწავლე ახალ გაზდობაც მოგვივა და ვნახოთ რას მოგვიტანენ.

ვანელი ბაგრატა

ყოველკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ჟურნალი.

„იალქანი“

| | |
|---|---|
| თფილისსა და თფილის გარეთ ერთ წლით | 5 მ. — |
| ნახევარი წლით | 3 მ. — |
| სამი თვით | 1 მ. 60 კ. |
| საზღვარ გარეთ ერთი წლით | 8 მ. — |
| ნახევარი წლით | 4 მ. — |
| სამი თვით | 2 მ. — |

ცალკე ნომერი ყველგან ორი შაური.

რედაქციის დროებითი ადრესი: Елизаветинская, № 17. При Типографіи Кикнадзе.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია დიდ ხანს არ ინახავს. ინახება ერთი თვით მხოლოდ მოთხრობები და დიდი წერილები.

ფოსტით ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Г-ну Михаилу Давидовичу Кикнадзе. Елизаветинская ул., № 17. Типографія Кикнадзе Тифлисъ.

დაბა ახალ-სენაკში.

ქ-ნი მ. დ. ფულარიას თაოსნობით არსდება 4 კლასიანი საქალებო კერძო პროგიმნაზია. გამოსაცდელი ეგზამენები დაიწყება 15 აგვისტოდან, ხოლო მეცადინეობა 1 სექტემბრიდან.

ჟურნალ-გაზეთების და წიგნების გამომცემელთა

საყურადღებოდ!

უმუშევრათ დარჩენილი

ასოთ-ამწყობი

ამხანაგებანთ ერთათ იღებს საქმეებს ასაწყობათ როგორც ქართულს, ისე რუსულს

ხელ-მისაწვდენ ფასებში.

ადრესი: მადათოვის კუნძული, სტამბა „სორა-პანი“. იკითხეთ პლატონი.

რედაქტორ-გამომცემელი ლევ. დადეშქელიანი.